# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 15 ივლისი 2005 №159 (2482) ფასი 50 თეთრი


# ბ–ს რა ჰქონდაო, გოლი გაჰქონდაო

## ლოკომოტივმა ბანანი ჭამა, ტორპედო მშიერია



გუშინ საქართველო ორი „ბ"-ს დღე ჰქონდ ქუთაისის „ტორპედო ბელარუსულ „ბატე მასპინძლობ „ლოკომოტივი" ერევანში „ბანანც გაფცქვნას ცდილობდა. ის, რომ ბატე „ტორპედოს" გადააბოტებდა, საქმეში ჩახედული კაცისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, „ბანანცი" კი ჩვენთვის მაინც ეგზოტიკური ხილი გახლდათ და პროგნოზებთანაც ფრთხილად ვიყავით. სინამდვილეში რა და როგორ მოხდა, მეორე და მესამე გვერდებზე თვითმხილველთა მონათხრობიდან შეგიძლიათ შეიტყოთ.



სერენამ მკერდი გვიჩვენა

11



ქართველები აფრიკაში დასარჩენად წავიდნენ

დევისის თასის ამბები

13



შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა

58 წლის ქალი დედამიწის ირგვლივ დარბის

15

# ვიეირა, როგორ ვერა!

## იუვეს საფულე 20 მილიონით ამჩატდა

საბოლოოდ მაინც იტალიის ჩემპიონი „იუვენტუსი" გატყდა და „არსენალს" ფრანგი ნახევარმცველის, პატრიკ ვიეირას სანაცვლოდ 20 მილიონი ევროს გადახდაზე დაყაბულდა. ტურინული კლუბის ცნობით, ვიეირამ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„როდესაც კლუბში ცხრა წელიწადს გაატარებ, იქაურობა არ გეთმობა, მაგრამ თუ მაინც გინევს არჩევანის გაკეთება, არ უნდა შეცდე. მე ჩემი არჩევანით ბედნიერი ვარ." — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა.



თბილისი. 14 ივლისი. 19 საათი. მიხეილ მესხი. 800 (ტევადობა 25 600)

## ტორპედო 0:1 ბატე

0:1 ბაგა (27პ); *კაკალაძემ ვერ გაიტანა პენალტი (83, მეკარე)*

30 რევიშვილი

მწვრთნელი
ოთარ
გაბელია

6 ბარაბაძე 25 გამეზარდაშვილი 5 ბაქრაძე 15 რაქვიაშვილი

17 ზ. ჩხეტიანი

20 გ. ახალაია 18 სოსელია

7 ბოლქვაძე

19 რ. ჯიქია 10 კაკალაძე

14 ლებედევი

8 რუბნენკა

22 სტასევიჩი 18 კობეცი

7 ერმაკოვიჩი 2 ლიხტაროვიჩი

3 მოლაში 6 გარკუშა 4 რადკოვი 5 ბაგა

მწვრთნელი
იგორ
კრიუშენკო

24 ფედოროვიჩი

შეცვლა: ჩხეტიანი – 14. ტეხოვი (46), სოსელია – 13. კ. შალამბერიძე (52), რუბნენკა – 11. ვიშნიაკოვი (62), სტასევიჩი – 15. ჟავნერჩიკი (72), გამეზარდაშვილი – 22. ფრანგიშვილი (78), ლებედევი – 20. ბარანოვი (81)

გაფრთხილება: რაქვიაშვილი (6), ბაქრაძე (26), სოსელია (43), ერმაკოვიჩი (59)

მსაჯები: სვენ ოდონარ მოენი; ოდ არნე ჰანგენი, ფრანკ ანდუსი; ფივინდ ალაპნესი (ყველა ნორვეგია)



გურამ ცქიტიშვილის ფოტო



გურამ ცქიტიშვილის ფოტო

ბატეს მეკარეს ქუთაისელები იშვიათად აწუხებდნენ

# ბატეც გაგვიბატონდა, ჩემო ბატონო

**სოსო კოტორეიშვილი**

**ათიოდ** წუთიც არ იყო გასული მატჩის დაწყებიდან, რომ ცხადი გახდა — საქართველოში მესამედ ნასტუმრები ბელარუსული ბატე თბილისიდან გამარჯვებული წავიდოდა. მაინც რა მოხდა ისეთი ამ ათ წუთში, „ტორპედო" წინდაწინ მარცხისთვის რომ გაიმეტეთო, იკითხავს ალბათ კირკიტა მკითხველი. იკითხავს და ჩვენც ვუპასუხებთ — ქუთაისელები ბორისოველებს რომ ვერ მოუგებდნენ, მერწმუნეთ, ამას თამაშამდეც ვვარაუდობდით. განა იმიტომ, რომ ბატე ის გუნდია, რომლის ტოლ-სწორიც თუნდაც ჩვენში ვერ მოიძებნოს, არა, ბატონო, „ტორპედო" ალარაა გუნდი და ეს ფრიად უსიამოვნო ამბავი სწორედ მატჩის საწყის ათ წუთში გამოჩნდა.

გამოჩნდა, რომ ბელარუსები უფრო სწრაფად, გააზრებულად მოქმედებდნენ და ბურთსაც ხშირად ფლობდნენ, ფეხბურთის დაუწერელი თუ დაწერილი წეს-კანონით კი თამაშს უფრო სწრაფნი, აზრიანნი და ბურთმპყრობელნი იგებენ.

ამიტომაც იყო, უკვე მეათე წუთისთვის ბელარუსებმა ორჯერ რომ დაარტყეს რევიშვილის კარისკენ, მეთხუთმეტე წუთზე კი დაწინაურებაც შეეძლოთ. მარჯვენა ფნაგიდან კობეცის ჩაწოდებულ ბურთს სტასევიჩმა უთავა და რომ არა ქუთაისელთა მეკარის ნახტომი, „მიხეილ მესხზე" შეკრებილი ბელარუსი ქომაგები საგოლე ყიჟინას შემოსძახებდნენ.

გაბელიას გუნდმა ბორისოველთა ასეთ მიძალებას საკადრისად ვერ უპასუხა, ან კი როგორ უპასუხებდა, როცა ქუთაისელი თავდამსხმელები და ნახევარმცველები ისე დაეცილებინათ ერთურთისგან ბელარუს მცველ-ნახევარმცველებს, ვინძლო, ტორპედოელებს ნამატჩევს ერთმანეთი კარგა ხნის უნახავი ძმაკაცებივით მოეკითხათ. ქართველთა ასეთმა უნიათობამ ლუკაშენკოს ქვეშევრდომთ უფრო გაუხსნა ხელფეხი და სტუმარი მასპინძლის სამფლობელოში დასახლდა. ბელარუსთა ანექსიამ მალე მათთვის სასურველი შედეგიც მოიტანა. ნაკუთხურალი ბურთისთვის ბაქრაძემ და რუბნენკამ იბრძოლეს, ძიძგილაობაში რუბნენკა წაიქცა და ნორვეგიელმა მსაჯმაც დაუფიქრებლად პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა — ალექსეი ბაგას მძლავრ დარტყმას რევიშვილმა ვერაფერი მოუხერხა.

„ტორპედოს" გოლკიპერი ვერც 37-ე წუთზე გადაარჩენდა თავისიანებს, კობეცს ახლო მანძილიდან ზუსტად რომ დაერტყა, არადა, ბატეს მარჯვენაფლანგელმა მანამდე ყველაფერი კარგად გააკეთა — მარცხენა ფლანგიდან სტასევიჩის ჩაწოდებული ბურთი მკერდზე მიიწება, მერე ძირს დაუშვა და შეუჩერებლივ ამოსცხო.

ქუთაისელებს გოლის გატანის ერთადერთი შანსი პირველი ტაიმის მიწურულსღა მიეცათ. სოსელიას შორეულ პასს კაკალაძე შეეგება, კარიდან გამოვარდნილი ფედოროვიჩისთვის ბურთის თავზე გადაგდება სცადა, მაგრამ საჯარიმოს გარეთ გამოსულმა მეკარემ ხელით თუ მკერდით ბურთს გზა გადაულობა. ტორპედოელები ჯარიმის მოლოდინში მსაჯს შეჰყურებდნენ, ნორვეგიელმა კი გუნდებს გასახდელისკენ მიუთითა.

ოთარ გაბელიამ მეორე ნახევარში ჩხეტიან-სოსელიას ნაცვლად ტეხოვ-შალამბერიძეს უხმო. შალამბერიძე აქტიურადაც ჩაერთო თამაშში, რამდენჯერმე მარჯვენა ფლანგიდან მწვავედაც შეუტია და მატჩის მიწურულს, 83-ე წუთზე პენალტიც მოინადირა. უსუსურად მოთამაშე „ტორპედოსთვის" ეს თერთმეტმეტრიანი ციდან ჩამოვარდნილ საჩუქარს ჰგავდა. მაგრამ რად გინდა... კაკალაძის დარტყმული ფედოროვიჩმა მოიგერია, ხოლო გადმოვარდნილ ბურთს ჯიქიამ ოთხიოდ მეტრიდან ისეთი ამოსცხო, ციდან ჩამოვარდნილი ცაშივე გააფრინა.

83-ე წუთამდე და მას შემდეგაც კი, ბორისოველებმა იმდენი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს, ნახევარიც რომ გამოეყენებინათ, ანგარიში ტორპედოელთათვის მაინც კატასტროფული იქნებოდა.

რაღა უნდათ ამათ ბელარუსშიო, ჩაილაპარაკა ნამატჩევს ერთმა ქუთაისელმა ქომაგმა. უეფას წესი მოითხოვს, თორემ ბორისოვში „ტორპედო" წინასწარ გამოცხადებული მარცხისთვის რომ წავა ორ კვირაში, ცხადია. რატომ? გუნდი არაა და იმიტომ, ჩემო ბატონო.

## პრესკონფერენცია

*იგორ კრიუშენკო:* — უცნაური თამაში იყო. საგოლე მომენტების გამოუყენებლობამ ძალიან მანერვიულა, 1:0 საშიში ანგარიშია, არადა, შეგვეძლო, ადვილად მოგვეთავებინა საქმე. მადლობა ღმერთს, მეკარემ პენალტი მოიგერია.

...ბელარუსში მსაჯების გაკრიტიკებისთვის ფედერაციამ ჯარიმები დააწესა. მინდა, არ მინდა, ამ წესს ვემორჩილები, ეგეც არ იყოს, ვერცერთი პენალტის მომენტი კარგად ვერ დავინახე — ვერ გეტყვით, მსაჯი შეცდა თუ არა.

*ოთარ გაბელია:* — „ტორპედო" რა დღეშიცაა, კარგად იცით. ბატემ მოძრაობაში, სისწრაფეში გვაჯობა და დამსახურებულად მოიგო. მეტოქეს ჩვენზე მეტი მომენტი ჰქონდა, თუმცა ჯიქიასა და კაკალაძეს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, ეგებ, სხვაგვარად დამთავრებულიყო მატჩი.

...ძალიან ცუდი მსაჯობა იყო. თუ ბატეს კარში პენალტი იმიტომ დაიდო, რომ ჩვენს კარში დანიშნული პენალტი გაებათილებინა, ეგ არ ვიცი. ისე, მთლად მსაჯებს არ ვაბრალებ წაგებას, სტუმრებმა გვაჯობეს.

...საპასუხო თამაშის წინ რა შანსები გვაქვს, ეს დღესაც დავინახეთ. ისიც არ ვიცი, მაგ დროს „ტორპედოს" მწვრთნელი ვიქნები თუ არა.

უამბიციო გუნდში მე ვერ გავჩერდები. თანაც, ბელარუსში 28 ივლისს ვთამაშობთ, 30-ში კი ჩემპიონატი გვეწყება და ის ფეხბურთელები, რომლებიც დროებით არიან ჩვენთან, თავიანთ კლუბებში წავლენ.

...2-3 დღეში საბოლოოდ გაირკვევა, რა მომავალი ექნება „ტორპედოს". თუ კლუბის პრეზიდენტი წასვლას გადაწყვეტს, საშველს ვერსად ვხედავ, მარტო მერია ხარჯებს ვერ გასწვდება.

## უეფას თასი 2005-2006

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები**

ბაკი (აზერბაიჯანი) 1:0 ჟილინა (სლოვაკეთი)
ეკრანასი (ლიტვა) 0:2 კორკ სიტი (ირლანდია)
ტეუტა (ალბანეთი) 3:1 შიროკი ბრიეგი (ბოსნია)
ელბასანი (ალბანეთი) 1:1 ვარდარი (მაკედონია)
ალიანსი (ფინეთი) 3:0 პეტანჟი (ლუქსემბურგი)
ბასკიმი (მაკედონია) 0:0 ზეპჩე (ბოსნია)
ნისტრუ (მოლდოვა) 3:1 ხაზარი (აზერბაიჯანი)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:4 კეფლავიკი (ისლანდია)
სანტა ჟულია (ანდორა) 0:5 რაპიდი (რუმინეთი)
ესბიერგი (დანია) 1:2 ფლორა (ესტონეთი)
რუნავიკი (ფარერები) 1:2 მეტალურგსი (ლატვია)
ომონია (კვიპროსი) 3:0 ჰიბერნიანსი (მალტა)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 2:0 დაჩია (მოლდოვა)
ტვმკ (ესტონეთი) 1:1 მიუპა (ფინეთი)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) 1:1 B-36 ტორსჰავნი (ფარერები)
პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 ვიკინგი (ნორვეგია)
ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:2 მტზ-რიპო (ბელარუსი)
მაინცი (გერმანია) 4:0 მიკა (სომხეთი)
ლონგფორდი (ირლანდია) 2:0 კარმარტენი (უელსი)
რილი (უელსი) 2:1 ატლანტასი (ლიტვა)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 ვენტსპილსი (ლატვია)
დომანანო (სან მარინო) 0:5 დომზალე (სლოვენი)
ბირკირკარა (მალტა) 0:2 აპოელი (კვიპროსი)



დავით თაყართქილაძე ერევნიდან

# ბანანცური გამოსავალი: ივარდავას ბრალია

## უეფას თასი 2005-2006

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ერევანი. 14 ივლისი. 18 საათი. რესპუბლიკური. 500 (ტევადობა 15 000)

### ბანანცი 2:3 ლოკომოტივი

0:1 ალავერდაშვილი (39), 0:2 ქებაძე (47),
0:3 გ. ონიანი (52პ), 1:3 ჰაკობიანი (81), 2:3 კარაბახჩიანი (88)

| | |
|---|---|
| **ბანანცი:** ივარდავა, ა. გრიგორიანი, ა. გრიგორიანი, სიმონიანი, სეკუ კარაპეტიანი, დუდნიკი, ჯენებიანი, ჰაკობიანი, მელკონიანი, გუსილა (კარაბახჩიანი 61) *სათადარიგონი:* განიევი; არაკელიანი, ხაჩატურიანი, მაირაპეტიანი, ტადევოსიანი **მწვრთნელი:** სამველ სარქისიანი | **ლოკომოტივი:** მეყრილაძე, რ. ონიანი, გ. ონიანი, მახვილაძე, სეთურიძე, ქებაძე, კახელიშვილი, ინომოვი, ალავერდაშვილი (ყიფიანი 83), ფურთუხია (დ. ფოფხაძე 60), სირაძე (ჩივაძე 72) *სათადარიგონი:* ჩალაძე; სირბილაძე, თავბერიძე, გაბლაია **მწვრთნელი:** ნოდარ აკობია |

**გაფრთხილება:** რ. ონიანი (15), გ. ჯენებიანი (35)

**მსაჯები:** იანუშ მედიებირო; ტიბორ ვამოში, ზოლტ სპიშაკი; იშტვან ვადი (ყველა უნგრეთი)

ბანანც! ბანანც! დასცხო თამაშის დაწყების წინ ერევნელმა ქომაგმა, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ მათი გუნდი კლასით ჩამოუვარდებოდა „ლოკომოტივს". მასპინძლებს მონდომება არ აკლდათ, მხნედ დაიწყეს თამაში, თუმც ვერც პირველ წუთებში გაახერხეს რამე.

ყინჩად ეჭირა თავი მანუჩარ ივარდავას, მისი თამაშის შმაგი მანერა „ლოკომოტივისთვის" უცხო არ იყო და როცა ივარდავა გამოსვლებზე თამაშობდა, მასთან ორთაბრძოლას ყველა ერიდებოდა.

პირველი ხიფათი ჩვენებურებმა შექმნეს — ლაშა ქებაძის ნაკუთხურალი ბურთი გიორგი ონიანს მიუვიდა, თუმცა მან ახლოდან ძლიერად ვერ დაარტყა. სომხებმაც გამოიდეს თავი — დიმიტრუ გუსილამ ოციოდ მეტრიდან ააცილა და რამდენიმე წუთის შემდეგ მანვე მარჯვენა მახვილი კუთხიდან ვერ იყოჩაღა.

„ბანანცი" თითქოს მეტოქის შეცდომებზე იყო ჩასაფრებული, თორემ გააზრებულ, დალაგებულ და სწრაფ თამაშს ვერ ახერხებდა, „ლოკომოტივმა" კი ყველა ამ კომპონენტში დაჩაგრა სამველ სარქისიანის გაწვრთნილი გუნდი.

...როინ ონიანის მაკრატელა მიზანს ასცდა, გიორგი კახელიშვილის დარტყმული ივარდავამ მოიგერია, ალავერდაშვილის თავურზეც „ბანანცის" მეკარემ იყოჩაღა, მახვილაძის ჯარიმა ოდნავ ასცდა კარს, ისევე, როგორც ქებაძის შორეული დარტყმა, შემდეგ ქებაძემ ზუსტად დაუმიზნა კარს და კვლავ ივარდავამ ივარგა.

მოკლედ, გოლი მწიფდებოდა და ჩინებულად მოთამაშე ისლამ ინომოვმა დაახლოებით 30-მეტრიანი პასით ალავერდაშვილი ივარდავას პირისპირ შეატოვა და ლოკომოტიველმაც ჩინებულად გადაავლო ბურთი მეკარეს — 0:1.

„ბანანცმა" პირველი ტაიმის მიწურულს ერთხელაც გაიბრძოლა, მაგრამ მისი ჩხვლეტები მტკივნეული არ აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ ორი წუთიც არ იყო გასული, კახელიშვილმა საჯარო მოედნის მისადგომთან აკენწლა ბურთი, ქებაძეს დაუგორა და ივარდავას მარჯვენა კუთხეში აფართხალდა მრგვალი საგანი — 0:2.

„ბანანცი" შოკში ჩავარდა და სანამ იქიდან გამოვიდოდა, „ლოკომოტივმა" ერთხელაც დაამწუხრა — ქებაძის მიერ მონადირებული 11-მეტრიანი გიორგი ონიანმა შეაგდო.

შეიძლება ითქვას, აქ თამაში დამთავრდა, „ლოკომოტივი" ცოტათი მოეშვა, „ბანანცი" კიდევ რამდენიმე წუთი მოდიოდა გონს და როცა გამოფხიზლდა, ორი გოლიც შეაგდო — ჰაკობიანმა მეკარესთან და მცველებთან ჭიდილში იმარჯვა, ხოლო კარაბახჩიანი მარჯვნიდან შეიჭრა „ლოკომოტივის" საჯარიმოში და შორეულ კუთხეში გააგზავნა ბურთი.

ნამატჩევს „ბანანცის" გულშემატკივრები მწვრთნელის უკმაყოფილონი იყვნენ, უცნაური შემადგენლობით ათამაშა გუნდი, გაუმართლებელ ექსპერიმენტებს მიმართავდა.

სარქისიანი: ჩემი ახალგაზრდების კმაყოფილი ვარ, ხოლო გამოცდილმა ფეხბურთელებმა კარგად ვერ ითამაშეს. ვყოყმანობდი, ივარდავა დამეყენებინა თუ არა და შევცდი.

აკობია: 3:0 ვიგებდით და არ ველოდი ორი ბურთის გაშვებას, „ბანანცს" პოტენციალი ეტყობა, ორი გოლი რომ გავუშვით, ჩვენი ახალგაზრდების გამოუცდელობის ბრალია.

# სამი ქართველი და ერთი გოლი

**აზერბაიჯანში** შეკრებაზე მყოფმა „ამერმა" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და 1:0 მოიგო. „ამერის" მეტოქე აქაური უმაღლესლიგელი „შაჰდაღი" იყო. ერთადერთი გოლი მეკარის ბაქნიდან მე-5 წუთზე ამერელთა ახალწვეულმა ალეკო კოშკაძემ გაიტანა. გვახსენდება, რომ კოშკაძის „ამერში" გადმოსვლისას სულიკო დავითაშვილმა თქვა, „ტორპედოში" გოლების დიდი ნაწილი კოშკას პასებით მაქვს გატანილიო. ეს იმიტომ გაგვახსენდა, რომ ამჯერად კოშკაძეს საგოლე პასი დავითაშვილმა მისცა.

„ამერს" კიდევ რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი ჰქონდა: იმავ კოშკაძემ და ვახტანგ ხვადაგიანმა ორიოდ მეტრიდან ვერ გაიტანეს, გივი ჩხეტიანმა კი ცარიელ კარს ააცილა.

თამაში „ამერის" სრული უპირატესობით კი წარიმართა, თუმცა ორი ხელსაყრელი მომენტი აზერბაიჯანელებსაც ჰქონდათ და მეკარე ლადო ნადირაშვილმა იყოჩაღა.

მომდევნო მატჩს „ამერი" 17 ივლისს „სუმგაითის" წინააღმდეგ ჩაატარებს, ხოლო ჩვენიანთა გუშინდელი მეტოქის შემადგენლობაში სამი ქართველი, შალვა მუმლაძე, დავით გურეშიძე და ალექსანდრე ლალაძე თამაშობდნენ.

**ამერი:** ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, კვახაძე, დობროვოლსკი (გარუჩავა 78), ბერიანიძე, კაიდარაშვილი, კოშკაძე, სილაგავა (ჩხეტიანი 77), დეკანოსიძე, დავითაშვილი

**გიორგი დარჯანია ქუბადან**

# ასათიანის გოლ-ათიანი!

## მანჩხავა-კვარაცხელიას ლივერპული ჯიბეში აქვთ



**დაიწყო** საევროპო სეზონი და სამშაბათ-ოთხშაბათ-ხუთშაბათს მოსაწყენად არ გვეცალა. მართალია, ჯერ ბობოლების დრო არ დამდგარა („ლივერპულის" გამოკლებით), მაგრამ ჩვენ ქართველი ლეგიონერების ამბები მოვიკითხოთ და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციოდან დავიწყოთ.

...დავიწყოთ მენთეშაშვილ-კორღალიძე-ელიავა-ჩალაძის „სკონტოს" კოშმარით. ოთხივე ჩვენიანმა ძირითადში ითამაშა მაკედონიურ „რაბოტნიჩკისთან" 0:6 წაგებულ მატჩში, მაგრამ როგორ გაისარჯნენ, ანგარიში ღაღადებს.

აი, ლატვიელთა მეზობელმა, ლიტვის ჩემპიონმა „კაუნასმა" კი საქართველოში საჯარო ფისი-ფისით ცნობილი ფარერელების „ტორსჰავნს" გასვლაზე 4:2 მოუგო. გივი კვარაცხელია კაუნასში რეგულარულად თამაშს შეჩვეულია, სასიხარულო კი ისაა, რომ გუნდის ახალწვეული ნუკრი მანჩხავა პირველად გამოჩნდა სასტარტოში. ორივე ქართველმა სრულად ითამაშა, ლიტველთა მესამე გოლი კი სწორედ ექსლოკომოტიველი მანჩხავას პასით გავიდა. გეცოდინებათ, „კაუნასი" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე... „ლივერპულს" შეხვდება.

თითქმის მეორე ეტაპზეა და ბრიუსელის „ანდერლეხტი" ელოდება გიორგი ადამიასა და ვალერი აბრამიძის „ნეფთჩის". ისლანდიის „ჰაფნარიორდურთან" შინ 2:0 მოგებაში თავისი წვლილი ქართველებმაც შეიტანეს. ორივე გოლი მათი მონაწილეობით გავიდა.

ვაჟა თარხნიშვილისა და რომან გოგინაშვილის „შერიფმა" სტუმრად მალტური „შლიემა" 4:1 გაანადგურა. კაპიტანმა თარხნიშვილმა, ტრადიციულად, შეუცვლელად ითამაშა, გოგინაშვილი კი 57-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, საგოლე პასი გააკეთა და ყვითელი ბარათითაც „გამოიჩინა" თავი.

კვიპროსელმა ქართველებმაც კარგ შედეგს მიაღწიეს — მინსკში იქაურ „დინამოს" 1:1 გამოსტყუეს. თემურ ქეცბაიამ და კლიმენტი წიტაიშვილმა სრულად ითამაშეს, გიორგი ქინქლაძე კი მატჩის ბოლოსლა შეცვალეს. ქეცბაია საუკეთესო იყო მინდორზე და გოლსაც უეჭველად შეაგდებდა, მინსკელთა მეკარეს ორჯერ სასწაული რომ არ ჩაედინა.

ჩემპიონთა ლიგიდან რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალისკენ გადავინაცვლოთ, სადაც მორიგი სპექტაკლი დადგა მალხაზ ასათიანმა. მისმა „ლოკომოტივმა" „კუზბასთან" 2:0 გაიმარჯვა, მახომ კი პირველ ტაიმში ცენტრიდან დაიწყო დრიბლინგი, გზად ხუთი კუზბასელი მიაფინტავა და დაახლოებით მარადონასებური გოლი გაიტანა.

„მალხაზ, შენ ზიდანი ხარ", „ასათიანი სუპერია, „ლოკოს" თუ არ მიატოვებ, ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის ვიბრძოლებთ" — ასეთი და ბევრი მსგავსი SMS-ები გაუგზავნეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფანებმა ჩვენიანს. ცნობისთვის, „ასკამ" ამ მატჩში [illegible] ითამაშა.

— ჩემი გოლი მეც ძალიან მომეწონა. ასეთი გარღვევები ხშირად არ გამომდის, მაგრამ როგორც კი ბურთი მივიღე, უკვე ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ბევრი ფეხბურთელი გვაკლდა და ამიტომაც 2:0 კარგი შედეგია. ნახევარდაცვაში მირჩევნია თუ დაცვაში? მე თამაში მიყვარს, სად მირჩევნია, ეს უკვე მეორე საკითხია — ტრადიციულად თავმდაბალია მალხაზი.

იცხაკ შუმის „ალანიაში" [illegible] უცდიდა თუ რა იყო, ვიტალი დარასელია უგოლოდ აღარ გადის მინდვრიდან. მან ბოლო წუთზე ჯარიმიდან ცხრიანში გაიტანა და ოსურ კლუბს ჩიტის „ლოკომოტივთან" 2:0 მოაგებინა. ამ მატჩში ტრავმირებული დავით კვირკველიას გარდა ყველა ალანიელმა ქართველმა ითამაშა.

ავსტრიაში კი მაქს-ბუნდესლიგა დაიწყო და, როგორც ჩანს, დავით მუჯირმა უკვე სრულად მოიშუშა ტრავმა. მისმა „შტურმმა" ჩემპიონი ვენის „რაპიდს" სტუმრად 3:2 მოუგო. ამ სენსაციის მეთაური კი „მუმუ" გახლდათ, რომელმაც დებიუტშივე უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში.

კიდევ ერთი ქართული გოლი ლევან კობიაშვილისა იყო. „შალკემ" ლონდონურ „ფულჰემს" ტესტ-მატჩში 3:2 მოუგო, „კობიამ" კი მე-10 წუთზე ალტინტოპ-სანდის კომბინაცია დააგვირგვინა. ჩვენიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რაც ნამატჩევს „ხუმარების" თავკაცმა რალფ რანგნიკმაც აღიარა. ლევანმა 61-ე წუთამდე ითამაშა, მერე კი ბაუმიოჰანმა შეცვალა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), აკობია (კოლხეთი), *დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (?), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭეიშვილი (?) | ფორტცაინი (გერმანია) 5:1<br>ჰალიერონი (გერმანია) 5:0<br>რადოლფცელი (გერმანია) 8:1<br>სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1<br>გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0<br>შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2<br>ლევადია (ესტონეთი) 0:1 |
| **ტორპედო** ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი) | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ამერი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?)* | |
| **თბილისი** თბილისი | | გრიშიკაშვილი (ბაკუ, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), მინ ჩოი (?), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი),* შ. ჯიქია (ბორჯომი), აფციაური (ბორჯომი), ფიფია (?) | სიონი 4:3 |
| **ლოკომოტივი** თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), იმონოეი (ფახთაქორი, უზბეკეთი) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), სანიკიძე (აქტობე, ყაზახეთი) | სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3, დიარბაქირი (თურქეთი) 0:4 |
| **ზესტაფონი** ზესტაფონი | გუშარაშვილი (ბათუმი), *ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?)* | |
| **ვიტ ჯორჯია** თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | ინნკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი), გ. კვახაძე (ამერი) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1<br>რუსთავი 1:0 |
| **დინამო** ბათუმი | *ნუნუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), დარჩიძე (სიონი), ბეგლარ თედორაძე (სიონი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოლაშვილი (ცხინვალი), ჩოხელი (ბორჯომი), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | კახეთი 0:2 |
| **სიონი** ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), კაკაშვილი (ჩერნო მორე), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (უგუნდო), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი), დარჩიძე (ბათუმი) | რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი) | ლოკომოტივი 1:6, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4, სოხუმი 0:2, ამერი 0:2, სპარტაკი 1:0, კახეთი 1:2 |
| **კოლხეთი** ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), თაყაძე (ცხინვალი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი) | |
| **დილა** გორი | *ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)* | მამესნარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| **ამერი** თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი), გ. კვახაძე (ვიტ ჯორჯია), კოშკაძე (ტორპედო) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | გაგრა 0:1<br>სიონი 2:0<br>სოხუმი 3:2<br>შაჰდალი 1:0 |
| **ბორჯომი** ბორჯომი | მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), აფციაური (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), *პაპიძე (უგუნდო), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია)* | კვეკვესკირი (სოხუმი), *ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივნივაძე (?)* | სიონი 5:0, სოხუმი 0:1 |
| **დინამო** სოხუმი | ცორცოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო),* ცუანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბაძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), ჩომახიძე (ჩიხურა), გ.ჩხაიძე (ჩიხურა) | | ბორჯომი 1:0, სიონი 2:0 |
| **კახეთი** თელავი | კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), ზ. ლაბაძე (რუსთავი) | | ბათუმი 2:0<br>სიონი 2:1 |
| **ცხინვალი** ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?), გამცემლიძე (?), თაყაძე (კოლხეთი) | | |
| **სპარტაკი** თბილისი | გ. იმნაძე (მთავარი მწვრთნელი) | ბ. შეროზია (მთავარი მწვრთნელი), ტატანაშვილი (ამერი), დონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ცუანია (ორივე სოხუმი) | სიონი 0:1 |

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: სავარაუდო ტრანსფერი

# ვიეირა-კამორანეზი-ემერსონი-ნედვედი
## კაპელომ ნახევარდაცვა შეადუღა



გუშინ პატრიკ ვიეირა ოფიციალურად გახდა „იუვენტუსის“ ფეხბურთელი

**„არსენალის“** კაპიტანი პატრიკ ვიეირა მომავალ სეზონში „იუვენტუსის“ მაისურას მოირგებს! გუშინ ფრანგმა ნახევარმცველმა 20 მილიონ ევროდ ღირებულ კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი ტურინულ კლუბს 5 წლით დაუკავშირდა და მართალია პირად საკითხებს ჯერ კიდევ აზუსტებს, ამბობენ, რომ სეზონში დაახლოებით 4 მილიონ ევროს მიიღებს.

გუშინწინ ღამით ლონდონში „იუვენტუსის“ მმართველთა ცნობილი სამეული — ლუჩანო მოჯი, რობერტო ბეტეგა და ანტონიო ჯირაუდო გაფრინდნენ. მოლაპარაკებაც გადამწყვეტ ფაზაში ამის შემდეგ შევიდა.

ტურინელებს „მეთოფეებისთვის“ კვლავ შედარებით ნაკლები ფული და ერთი ფეხბურთელი შეუთავაზებიათ. თუმცა ლონდონელები ამ სახის შეთანხმებას მხოლოდ იმ შემთხვევაში თანხმდებოდნენ, თუ ფულთან ერთად ჯონათან ძებინას იგდებდნენ ხელში, რაც მოჯიმ და კომპანიამ იუარეს.

ამ ყველაფრის შემდეგ, ტრადიციულად შეზღუდული ბიუჯეტის მქონე „იუვენტუსს“ სავარაუდოდ, მრავალი ფეხბურთელის გაყიდვა მოუწევს. წამსვლელთა სიას ფაბრიციო მიკოლი, ენცო მარესკა და იგორ ტუდორი უდგანან სათავეში.

ამბობენ, ფაბიო კაპელო საწადელს აისრულებს და ნახევარდაცვის ხაზს საბოლოოდ შეადუღაბებსო — ვიეირა ცენტრში ემერსონს შეუწყვილდება, რომლებსაც კამორანეზი და ნედვედი შეუერთდებიანო. ეს ოთხეული სწორედაც რომ ძალიან ძლიერად გამოიყურება და შესაბამისად, გასული სეზონისგან განსხვავებით, ტურინელთა შუა ხაზში სუსტი წერტილი აღარ დარჩება.

მოგეხსენებათ, უკვე კარგა ხანია, გვესმის, „იუვენტუსი“ „არსენალის“ მეორე ფრანგი ლეგიონერით, რობერ პირესითაც დაინტერესდაო. ახლა ისიც ითქვა, რომ ლონდონში ამ საკითხზეც გაიმართა მოლაპარაკებაო, თუმც ტურინელთა გენერალურმა მენეჯერმა გუშინ დილით გაკეთებულ განცხადებაში, ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

ლუჩანო მოჯი: „ვიეირას შეძენასთან ძალიან ახლოს ვართ. ყველაფერი უახლოეს საათებში უნდა დამთავრდეს. რაც შეეხება პირესს, იგი არ გვაინტერესებს“.

ამასობაში, „ბებერი ქალბატონი“ ისევ დატოვა ნიკოლა ლეგროტალიემ. იგი ამჯერად „სიენაში“ გაანათხოვრეს. „კიევოში“ ვარსკვლავად ქცეულს უკვე თითქმის ორი სეზონი ჩაუვარდა, მაგრამ იგი მომავალს იმედით უყურებს.

„მინდა, რომ ისევ მენდონ და ცოტა დრო მომცენ. უბრალოდ, სუსტ ფეხბურთელად არ გადავიქცეველვარ და ამას ყველას დავუმტკიცებ. „სიენა“ ამისთვის საუკეთესო საშუალებაა, რადგანაც „იუვენტუსში“ თამაშის საშუალება აღარ მქონდა“ — აღნიშნა ლეგროტალიემ.

„სიენამ“ ასევე ინათხოვრა კიევის „დინამოს“ არგენტინელი ფორვარდი რობერტო ნანი. გარდა ამისა, კლუბის უფროსობა „ბოლონიასა“ და იტალიური ფეხბურთის ვეტერანი გოლკიპერის, ჯანლუკა პალიუკას ხელში ჩაგდებას ცდილობს.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ქალბატონის თავდასხმა ემზადება
## ტრეზეგე, რომელიც ჯერ არ გვინახავს

*ვიდრე ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა სატრანსფერო ციებ-ცხელებაშია ჩაბმული, კლუბის ფეხბურთელები ნელ-ნელა მომავალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ. „ბებერი ქალბატონის“ სამმა თავდამსხმელმა, ფაქტობრივად, ერთმანეთის მიყოლებით გააკეთა განცხადებები და საკუთარ გეგმებსა თუ სურვილებზე ისაუბრა*



დავიდ ტრეზეგე არნახულ სეზონს გვპირდება

**დავიწყოთ** „იუვეს“ კაპიტან ალესანდრო დელ პიეროთი, რომელმაც შვებულებისას უკვე დაქორწინებაც მოასწრო და თაყვანობის თვიდან დაბრუნებაც.

„ჩვენი განწყობა მუდამ საბრძოლოა და ყოველთვის გამარჯვებაზე ვფიქრობთ. გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩავამთავრეთ და ახალი აუცილებლად ასევე უნდა დავიწყოთ. „იუვენტუსი“ სამ ფრონტზე ითამაშებს და ჩვენი პრიორიტეტი იტალიის თასი იქნება. ცხადია, ხუმრობით, მაგრამ ეს ჯილდო მართლაც დიდი ხანია, არ მოგვიგია. რასაკვირველია, სკუდეტოში „მილანი“ და „ინტერი“ შეგვეცილებიან. მათი შემადგენლობა ძალიან ძლიერია, თუმც ვარაუდი ვარაუდია, ხოლო სიმართლე, როგორც წესი, მინდორზე გამოჩნდება“ — თქვა დელ პიერომ.

ახლა დავიდ ტრეზეგეზეც ვთქვათ, რომელსაც „დელე ალპიდან“ წასვლასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ამაოდ. 27 წლის ფორვარდის განწყობა უაღრესად საბრძოლო, ხოლო გეგმები შორს მიმავალია.

დავიდ ტრეზეგე: „კლუბს არასოდეს უთქვამს, რომ ჩემს გასხვისებას აპირებს და მეც არასოდეს მიფიქრია წასვლაზე. აქ მენდობიან და მინდა, ფაბიო კაპელოს ნამდვილი ტრეზეგე ვაჩვენო, ისეთი, როგორიც ჯერ არ უნახავს. „იუვეს“ მაისურით 96 გოლი მაქვს გატანილი და ეს ციფრი, რაც შეიძლება, მალე უნდა დავამრგვალო. შემდეგ კი მიშელ პლატინის შედეგის გაუმჯობესებამდე 5 ბურთი მექნება დარჩენილი. ეს ჩემი ოცნებაა. ასევე ვოცნებობ, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვების გოლი გავიტანო. ჩვენ ყველაფერის მოგება გვინდა, მაგრამ ლიგას პრიორიტეტს ვანიჭებთ“.

ბოლოს კი „ფიორენტინადან“ დაბრუნებულ ფაბრიციო მიკოლისაც მოვუსმინოთ. შესაძლოა, იგი სექტემბრამდე ისევ გაანათხოვრონ ან სულაც გაყიდონ, მაგრამ ამჟამად მიკოლი „იუვეს“ ფეხბურთელია და მომავალი სეზონისთვის სხვების დარად ემზადება. შეგახსენებთ, რომ ფაბრიციო გუნდის ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდებოდა და ამის გამო „დელე ალპიზე“ დაბრუნება მაინცდამაინც არ სურდა. მან ცოტა ხნის წინ ასეთი ფრაზაც თქვა: „ტრაგედია არ იქნება, თუ „იუვენტუსში“ დამაბრუნებენ“. ამან ტურინელთა ქომაგების დიდი ნაწილი გააღიზიანა, თუმც ტანმორჩილმა თავდამსხმელმა მოიბოდიშა და აღნიშნა, საწყენი არაფერია.

ფაბრიციო მიკოლი: „მე ყოველთვის პატივს ვცემ იმ გუნდის მაისურას, რომელსაც ვატარებ. პროფესიონალი ვარ და მინდორზე ბოლომდე ვიხარჯები. აქ იმისთვის არ ჩამოვსულვარ, რომ ბუტაფორიის როლი ვითამაშო“.

**გიორგი ქაქაბაძე**



იონ დალ ტომასონი კარიერას პორტუგალიაში გააგრძელებს

# ჯილარდინოსგან გაქცეულმა, თავი ბენფიკას შეაფარა
## ტომასონი ლისაბონში წავიდა

**დანიელი** ფორვარდის, იონ დალ ტომასონის „ბენფიკაში“ გადასვლის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყდა. ლისაბონური კლუბის წარმომადგენლები ოთხშაბათს მილანში ჩაფრინდნენ და „შავ-წითლებთან“ საბოლოოდ მოილაპარაკეს. როგორც ამბობენ, პორტუგალიელები დაახლოებით 4 მილიონ ევროს გადაიხდიან. ტრანსფერის სხვა დეტალები კი ჯერჯერობით უცნობია.

მართალია, თავად სკანდინაველი „მილანში“ დარჩენაზე ფიქრობდა, მაგრამ „სან სიროზე“ კრისტიან ვიერის ჩასვლამ და დამდეგ ორშაბათს, ალბერტო ჯილარდინოს მისვლამ, მას საბოლოოდ გადააწყვეტინა გუნდიდან წასვლა. ტომასონის შეძენა „ფიორენტინასა“ და „სამპდორიასაც“ სურდათ, თუმც „როსონერის“ მიერ წამოყენებულ პირობებს მხოლოდ „ბენფიკა“ დასთანხმდა.

შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლის“ ყოფილი თავდამსხმელი „მილანში“ 2002 წელს, „ფეიენოორდიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და ამ ხნის მანძილზე ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ შეძლო.

ამჟამად კარლო ანჩელოტის განკარგულებაში მხოლოდ სამი ფორვარდია — ვიერი, შევჩენკო და ინძაგი. ეს კი უფრო ზრდის ჯილარდინოს „როსონერიში“ გადასვლის შანსებს. აპენინური ჟურნალ-გაზეთები უკვე ალაპარაკდნენ, ტომასონის გაყიდვით, ფაქტობრივად, საბოლოოდ გადაწყდა, რომ ორშაბათს „მილანი“ პარმელს ოფიციალურად გააფორმებსო.

**გიორგი ქაქაბაძე**




გუშინ, ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ფინალისტმა „მილანმა" ახალი სეზონისთვის მზადება ოფიციალურად დაიწყო. კლუბის თითქმის ყველა წევრი „როსონერის" საწვრთნელ ბაზაზე, მილანელოში შეიკრიბა. მათ მხოლოდ ბრაზილიელები — მეკარე დიდა და ნახევარმცველი კაკა აკლდნენ, რომლებმაც კონფედერაციათა თასზე ითამაშეს და ჯერჯერობით ისვენებენ. იქვე იყო მრავალი ჟურნალისტი და გულშემატკივარი.

განსაკუთრებული ყურადღება კი გუნდის ახალწვეულებს — კრისტიან ვიერის, მარეკ იანკულოვსკის, იოჰან ფოგელსა და დიმიტრიოს ელეფთეროპულოსს ექცეოდათ, პირველ რიგში, ცხადია, ვიერის

AFP ფოტოები





„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ახალწვეულები:
კრისტიან ვიერი, დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი, მარეკ იანკულოვსკი და იოჰან ფოგელი შეაქო

# მილანიც გამოეფინა

## ვიერი ინტერიდან გამოუგდიათ

„შავ-წითლებმა", სანამ ვარჯიშს დაიწყებდნენ, ჟურნალისტებისთვის სპეციალურად მოწყობილ პრესკონფერენციაზე განცხადებები გააკეთეს მედიას ვიერი, „მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი, მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი წარუდგნენ.

„მილანის" 37 წლის კაპიტანი გუნდში უკვე 21-ე სეზონს იწყებს. განწყობა ტრადიციულად საბრძოლოა. მალდინიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გასულ სეზონზე ყველას გული დაწყდა, თუმცა წლეულს ეს აღარ გამეორდება და უტიტულოდ არ დავრჩებითო.

„სასიამოვნო გრძნობაა, როცა საკმაოდ დიდი შესვენების შემდეგ კლუბს და თანაგუნდელებს უბრუნდები. გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია და თავს არ დავზოგავთ. სატრანსფერო ბაზარზე ტრადიციულად, ზომიერად აქტიურები ვიყავით და ის ფეხბურთელები დავიმატეთ, რომლებიც გვჭირდებოდა. რაც შეეხება ვიერის, იგი უმაღლესი კლასის ფორვარდია, მაგრამ „ინტერში" გატარებული 6 წლის მერე ადაპტაცია მაინც გაუჭირდება, თუმცა მჯერა კრისტიანი ალღოს ყველაფერს მალე აუღებს. ასეთი თავდამსხმელი ძალიან წაგვადგება" — თქვა მალდინიმ.

თავად ვიერის კომენტარი კი ასეთია: „დაახლოებით 20 დღის წინ, ჩემს აგენტს „ინტერის" წარმომადგენელმა დაურეკა და მოულოდნელად კონტრაქტის გაწყვეტაზე დაუწყო საუბარი. შესაბამისად, იმ კლუბში ველარ დავრჩებოდი, რომელსაც აღარ ვჭირდებოდი. შემდეგ „მილანი" დამიკავშირდა და, ჩემი აზრით, ამაზე უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებდი. ყველაფრის მოგვარებას დაახლოებით ორი საათი დასჭირდა. ახლა მხოლოდ მომავალ სეზონზე ვფიქრობ და იმედი მაქვს, შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას შევძლებ. ასევე მსურს, უარვყო ჭორები, თითქოს რობერტო მანჩინისთან მქონდა უთანხმოება და კლუბი ამიტომ გამოვიცვალე".

„როსონერის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ კი მოკლედ და ოპტიმისტური განწყობით ისაუბრა მომავალ სეზონზე და უკლებლივ ყველა ახალწვეული შეაქო. მან ასევე აღნიშნა, რომ იონ დალ ტომასონის წასვლის შემდეგ, გუნდში სამი ფორვარდი დარჩა და ეს ციფრი სულ ცოტა, ერთით აუცილებლად გაიზრდება. ალბათ თავადაც ხვდებით, რომ საუბარი ალბერტო ჯილარდინოზეა, რომელიც წესით, ოფიციალურად ორშაბათს უნდა გახდეს „მილანის" ფეხბურთელი.

ბოლოს კი გალიანიმ მოიმარჯვა მიკროფონი და მოკლედ თქვა: „ყველამ იცოდეთ, რომ გუნდი უკვე დაკომპლექტებულია. ერთადერთი, ალბერტო ჯილარდინო თუღა დაგვემატება და ვიმედოვნებ, ისიც ორშაბათს. ჩვენ შევიძინეთ ისინი, ვისი შეძენაც გვსურდა და ამით ყველანი კმაყოფილები ვართ. აქვე მინდა უდიდესი მადლობა მოვახსენო იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც გუნდი დატოვეს: ექვსივე მათგანს (აბიატი, პანკარო, ბროკი, დორასო, კრესპო, ტომასონი) წარმატებებს ვუსურვებ".

აქვე ვთქვათ ისიც, რომ კლუბს მილანელოში ახლდნენ ახალგაზრდული გუნდის წევრები — პერსპექტიული მცველი ლინო მარძორატი და ნახევარმცველი იგნაციო აბატე. ორივე მათგანი მომავალ სეზონში „მილანის" განაცხადში იქნება და შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალებაც მიეცეთ.

**გიორგი ძაძაბაძე**

# რეალი არ ნებდება

## აიღე 50 მილიონი და მომეცი ადრიანო

**ესპანური** პრესის ბოლო ცნობით, „რეალი" მორიგ დიდ ტრანსფერს ამზადებს. როგორც ჩანს, მადრიდელებს ბრაზილიელი ადრიანოს შეძენაზე ხელი არ ჩაუქნევიათ და გავრცელებული ცნობით, „ინტერს" მასში უკვე 50 მილიონ ევროს სთავაზობენ.

მოგეხსენებათ, „სამეფო კლუბს" მილანელთა სუპერფორვარდის შეძენა დიდი ხანია, რაც სურს და, მიუხედავად „ინტერის" უარისა, დანებებას არ აპირებს. ადრიანო „სანტიაგო ბერნაბეუზე" უკვე მრავალჯერ დაპატიჟეს მისმა თანამემამულეებმაც, მადრიდელთა ერთ-ერთმა ლიდერმა რონალდომ და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ.

თანაც „რეალმა" „ინტერს" უკვე დაუთმო სანტიაგო სოლარი და ამჟამად მოლაპარაკება მეორე არგენტინელის, ვალტერ სამუელის „სან სიროზე" გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. მადრიდელები ამ ტრანსფერს სიამოვნებით დათანხმდებიან და ზედაც დიდ ფულს დაამატებენ, ოღონდაც მილანური კლუბი ადრიანოს გაყიდვაზე დაიყაბულონო, დასძენენ ესპანელი ჟურნალისტები.

როგორც ამბობენ, შესაძლოა, „ინტერმა" მართლაც ველარ გაუძლოს ცდუნებას და ბრაზილიელი ესპანეთში გაუშვას, მის სანაცვლოდ მიღებული თანხა კი ტრანსფერებს მოახმაროს, მათ შორის ანტონიო კასანოს შეძენასაც. მართალია, „ნეროაძურის" მმართველმა მასიმო მორატიმ ადრე განაცხადა, კასანო არ გვჭირდებაო, მაგრამ ეგებ ყველაფერი შეიცვალოს.

მასიმო მორატიმ ეს ინფორმაცია გუშინვე კატეგორიულად უარყო. მან ასევე განაცხადა, პორტუგალიელ ნახევარმცველ ლუიშ ფიგუსთვის „ნეროაძურის" კარი ღიაა, მთავარია, ფინანსურმა მდგომარეობამ მოგვცეს მისი შეძენის საშუალებაო. ხოლო გუნდის ურუგვაელი მცველი გონსალო სორონდო მომავალ სეზონს არენდის წესით, ლონდონურ „ჩარლტონში" გაატარებსო.

მასიმო მორატი: „რეალისგან" არანაირი წინადადება არ მიგვიღია. ადრიანო „ინტერის" ფეხბურთელია და ჭორებს ნუ აჰყვებით. ასევე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ანტონიო კასანო არ გვაინტერესებს, მას სხვა კლუბები ეპატიჟებიან".

**გიორგი ძაძაბაძე**

# კიჟამ კიჟი რაისას ჩაასო

## ბრაზილიას ზღაპრების არ სჯერა

**დანიელა ჩიკარელისთან** განქორწინების შემდეგ, რონალდომ სარეცელს გაგრილება არ აცალა და საბნის ქვეშ ქორფა, 21 წლის მოდელი შეაგორა.



რაისა ოლივეირა

მოგეხსენებათ, ბრაზილიელ ფორვარდს გოლების გატანაზე არანაკლებ ტურფა ლამაზმანების მოჩანგვლა ეხერხება. ჰოდა, რონალდომ შვებულება სამშობლოში გაატარა და სწორედ იქ „მოხსნა" 21 წლის რაისა ოლივეირა. „კიჟა" სან პაულუში მოდის ჩვენებებსაც დასწრებია, სადაც ოლივეირას ტან-ფეხი „დახლზე" გამოუტანია, რონალდო კი სიხარულისგან ცქმუტავდა.

ფეხბურთელი ახალ სასიყვარულო თავგადასავალზე მედიასთან არ საუბრობს. სამაგიეროდ, ოლივეირამ გაამხილა: „ჩვენ მხოლოდ ვმეგობრობთ. რონალდო ძალიან საინტერესო ადამიანია და მის გვერდით ყოფნა მსიამოვნებს. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ სასიყვარულო ურთიერთობა გვაქვს".

ბრაზილიელებს რაისას ზღაპრების არ სჯერა, რონალდოსთან რობერტო კარლოსის ან ზიდანის მეგობრობა გაგვიგია, მაგრამ ოლივეირას ნათქვამს ვერ დავიჯერებთო.

ერთიც: რონალდოს პირველ სიყვარულს, მილენა დომინგუშს ბრაზილიაში „რონალდინია" შეარქვეს. სამბას ქვეყანაში ასე ნათლავენ ყველა ქალს, ვისაც „რეალის" მეგოლე თვალს დაადგამს, ჰოდა რაისა ოლივეირასთვის მეტსახელის მოძებნა არ გასჭირვებიათ. 21 წლის მოდელი უკვე ახალი „რონალდინიაა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# რომას ბიზნესი შესთავაზეს



მაურო ესპოზიტო „რომაში" შესაძლო გადასვლით ერთობ მოხიბლულია

**იტალიური** „კალიარის" ბოსებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, მაურო ესპოზიტო „რომაში" გაუშვან, თუმცა შემხვედრი ნაბიჯები დედაქალაქელებმაც უნდა გადადგან და სარდინიელთა მოთხოვნები დააკმაყოფილონ.

„თუ „რომას" სურვილი სერიოზულია, ჩვენ მზად ვართ, შემხვედრი წინადადება შევთავაზოთ, მაგალითად, დედაქალაქელთა რიგებიდან დამიანო ფერონეტი და ალბერტო აკილანი გვაინტერესებს. მათ ყიდვას არ ვითხოვთ, თხოვებაზეც თანახმა ვართ და ახლა პასუხს დაველოდებით" — თქვა „კალიარის" სპორტულმა დირექტორმა ნიკოლა სალერნომ.

„სარდინიაზე ბედნიერი ვარ, მაგრამ ისეთ კლუბში გადასვლაზე, როგორიც „რომაა", უარს ვერ ვიტყვი. მათ ბრწყინვალე ფეხბურთელები და ქომაგები ჰყავთ. თანაც დანიელე დე როსისთან და ფრანჩესკო ტოტისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. სერიოზული წინადადება „მონაკოსაგანაც" მივიღე, მაგრამ იტალიაში დარჩენას ვამჯობინებ, რათა მუნდიალზე მოხვედრის მეტი შანსი მქონდეს" — აღნიშნა თავად 26 წლის ესპოზიტომ.

აქვე კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „რომას" ყიდვა-გაყიდვის ამბები იმაზეა დამოკიდებული, წარმატებულად გასაჩივრდება თუ ვერა სატრანსფერო ემბარგო, რომელიც დედაქალაქელებს ფილიპ მექსეშის წესების დარღვევით გადაყვანის გამო დაადეს.

**გიორგი ძაძაბაძე**




ჟულიო ბაპტისტას თვალი „ბარსელონამაც" დაადგა

# მენენდესმა საქმეში ბარსელონა ჩარია

**ჟულიო ბაპტისტა,** რომლის შეძენაც ძალიან სურს „არსენალს", თურმე აგენტის მეშვეობით „ბარსელონასთან" ათანხმებს „კამპ ნოუზე" შესაძლო გადასვლის პირობებს.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს ესპანურ „სევილიასთან" 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ უკმაყოფილოა, ანდალუზიაში გული აღარ უდგება და სადმე გადასვლას ცდილობს. რაც შეეხება კლუბის პოზიციას, ის იმგვარია, რომ თუ პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო ბაპტისტას გაყიდვას გადაწყვეტს, შეეცდება გაწელილი მოლაპარაკებების გარეშე, პირდაპირ გაუშვას და ამით დაამთავროს საქმე, რომლის მოკვარახჭინებასაც „არსენალი" 12 მილიონ გირვანქად ცდილობს.

მაშ, სად არის პრობლემა? სად და, თურმე პასპორტში, რომელიც ჟულიო ბაპტისტას ევროკავშირული არ აქვს და მის მისაღებად ესპანეთში კიდევ ერთი წლის გატარება სჭირდება.

ჟულიო ბაპტისტას წარმომადგენელი ერმინიო მენენდესი: „ჩვენ ბარსელონელებთან საერთო ენა გამოვნახეთ. ჩემი კლიენტი მართალია, ამჯერად კონტრაქტით არის „სევილიასთან" შეკრული, მაგრამ „ბარსაში" დაგვპირდნენ, რომ ამ პრობლემას მოგვიგვარებენ, თუმცა ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. არც ჩვენ გვაქვს რაიმე გადაწყვეტილი და არც „ბარსელონას", ამიტომაც ველით ნებისმიერ საინტერესო წინადადებას".

**ბაჩუნა ძიდია**

# სისოკო მოუპარავთ

**ინგლისური** „ლივერპული" საბოლოოდ მოელაპარაკა „ვალენსიას" მოჰამედ ლამინ სისოკოს ტრანსფერზე. მერსისაიდელებმა შავკანიანი ნახევარმცველი, ფაქტობრივად, ცხვირწინ ააცალეს თანაქალაქელ „ევერტონს". მალელმა უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და „ენფილდის" ბინადრებს გუშინ შვეიცარიაში შეკრებაზეც გაჰყვა, თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა. სისოკო კლუბის ხელმძღვანელობასთან პირადი შეთანხმების დეტალებს აგვარებს.




მოჰამედ ლამინ სისოკო

ამასობაში, მერსისაიდელთა წინადადებას კიდევ ერთხელ გამოეხმაურა გაბრიელ მილიტო. შეგახსენებთ, რომ ლივერპულელთა თავკაც რაფაელ ბენიტესს მისი შეძენა აქვს გადაწყვეტილი და ინგლისელები „სარაგოსას" 7,5 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. „ენფილდზე" გადაბარგება თავად არგენტინელსაც სურს, მაგრამ ესპანური კლუბი ჯერჯერობით თავს იკავებს, აქაოდა, მილიტო ჩვენი ერთ-ერთი ლიდერია და მის გარეშე გაგვიჭირდებაო.

„ეს ჩემთვის უნიკალური წინადადებაა და იმედია, ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება. ამით ყველა მხარე მოგებული დარჩება და არ მესმის „სარაგოსას" პოზიცია, მაგრამ მჯერა, ყველაფერი მოგვარდება" — თქვა 24 წლის მცველმა.

პრიმერადივიზიონის კიდევ ერთი ვარსკვლავის, ლუიშ ფიგუს აგენტი კი მიიჩნევს, რომ მისი კლიენტის „ლივერპულში" გადასვლის შანსი ჯერ კიდევ არის. პორტუგალიელს სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან, მაგრამ ამ ეტაპზე იგი „რეალის" ფეხბურთელია და წუხელ მადრიდელებს ამერიკაშიც გაჰყვა ტურნეზე.

„ინგლისელებმა ყველაზე დიდი ინტერესი გამოიჩინეს, მაგრამ „ლივერპულს" ფულის გადახდა არ სურს. კონტრაქტის გაწყვეტას კი არა მგონია, „რეალი" დასთანხმდეს. თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. შესაძლოა, ბოლო მომენტში ლუიში „ენფილდზე" გადაბარგდეს" — თქვა ფიგუს აგენტმა ლუის დოუენსმა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# გამზრდელი

## ტოტის მასწავლებელი ალაპარაკდა

*ორიოდე კვირის წინ, ფრანჩესკო ტოტიმ საკუთარ აგენტ ფრანკო ძავალიასთან კონტრაქტი გაწყვიტა. აგენტმა ფეხბურთელისგან საკომპენსაციოდ 2 მილიონ 140 ათასი გირვანქა მოითხოვა. ტოტი და ძავალია ათი წელია, რაც თანამშრომლობენ, მაგრამ „რომას" კაპიტანი კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის პირობებით უკმაყოფილო დარჩა და ეს აგენტს დააბრალა. მათი მეგობრობაც ამით დასრულდა*

**ზოგადად,** დიდი ფეხბურთელის აღზრდას თუ „აღმოჩენას" ბევრი იბრალებს. ფრანკო ძავალიას ამბავი რომ შეიტყო, გაბრაზებულმა სანტინო ფორტინომ „საიდუმლო" გახსნა. ვინ მიგდია ძავალია, ტოტი მე აღმოვაჩინეო, თქვა ფორტინომ, რომელმაც 20 წლის წინანდელი ამბავი გაიხსენა: „უკვე ოცი წელიწადია, ტოტის პროფესიონალი ფეხბურთელობის დამადასტურებელ პირველ მოწმობას ვინახავ. აქამდე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ ახლა, როცა ძავალია პრეტენზიით გამოცხადდა, იძულებული ვარ, ყველაფერი მოვყვე. ფული არასოდეს მომითხოვია და არც არასდროს მოვითხოვ. ეს მოწმობა არ იყიდება".



პატარა ფრანჩესკო ტოტი ახლა დიდი ფეხბურთელია, უთქვამს სანტინო ფორტინოს

სანტინო ფორტინო საბავშვო გუნდ „სმიტ ტრავერსეს" სპორტული დირექტორი იყო 21 წლის წინ, როცა მას ქალბატონმა ორი ბავშვით მიაკითხა.

„ქალმა ორი ბიჭი მოიყვანა — თქვა ფორტინომ — რიკარდო და ფრანჩესკო. რიკარდო ძმაზე უფროსი იყო და გადავწყვიტე, გუნდში ამეყვანა, მაგრამ დედისთვის, ფიორელასთვის, გული რომ არ მეტკინა, ფრანჩესკოც მივიღე. მახსოვს, ტოტი დედის კაბის ბოლოს ჭმუჭნიდა და შეშინებული მიყურებდა. აი, ასე, შეიძლება ითქვას, სრულიად შემთხვევით, აღმოვაჩინე ტოტი.

ვარჯიშის პირველივე დღეს ფრანჩესკომ მკერდზე მიიღო ბურთი და ლამაზად ჩასვა კარში. მივხვდი, რომ დიდი ფეხბურთელი გაიზრდებოდა. ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ ვუთხარი: „ფრანჩესკო, როცა ჯუზეპე ჯანინის უყურებ, იცი, რომ თვითონ „რომას" კაპიტანი გახდები? ტოტიმ ჩემს ნათქვამზე გაიცინა. ყოველთვის სინიორ ფორტინოს მეძახდა. მისით ყველა განცვიფრებული იყო, არა მხოლოდ ნიჭით, თამაშის უცნაური ყაიდითაც. ბავშვები ფეხბურთის თამაშისას ბურთს დასდევდნენ, მაგრამ ფრანჩესკო ასე არ იქცეოდა. ის მოედნის ცენტრში იდგა და მომენტს ელოდა, რათა რაიმე განსაკუთრებული გაეკეთებინა. ვარჯიშზე მოსული ხალხისგან ხშირად მსმენია: „ეს ბიჭი საშინლად თამაშობს", მაგრამ მათ არაფერი ესმოდათ ფეხბურთისა. ფრანჩესკო



სულ სხვანაირი, უნიკალური იყო და ასეთად დარჩა. მთელ გუნდში მხოლოდ მას შეეძლო ღელის დაუხმარებლად შხაპის მიღება. სახლში წასვლის წინ, ტოტი ყოველთვის ხელი აწევით მემშვიდობებოდა.

„სმიტ ტრავერსე" პირველად „რომას" თანატოლებს რომ შეხვდა, დედაქალაქური გუნდის მწვრთნელმა ტოტიზე თქვა, კარგი ბიჭია, მაგრამ ალბათ ველარ გაიზრდება, რადგან წვივის კუნთები უკვე ჩამოყალიბებული აქვსო. მოეწონათ, მაგრამ „რომამ" არ აიყვანა. ფრანჩესკო დაღონდა, მე კი დავამშვიდე — „ნუ დარდობ, შენ მაინც ითამაშებ „რომაში". ტოტიმ ორი წელი ითამაშა „სმიტ ტრავერსეში" მათზე უფროს ბავშვებთან ერთად და მერე „ლოდიჯანიში" გადავიდა. ამ კლუბის პატრონს ვუთხარი: „წაიყვანეთ ეს ბიჭი და კარგად მოექეცით, ის ჩემპიონი გახდება". ტოტის სანაცვლოდ ერთი ლირაც არ ამიღია".

ფრანჩესკო ტოტი ამის შემდეგ ფორტინოს ყოველთვის სავანგებოდ ულოცავდა შობისა და აღდგომის დღესასწაულებს. მაშინაც კი არ დავიწყებია, როცა „რომაში" აღმოჩნდა.

„ერთხელ — გაიხსენა სანტინო ფორტინომ — სინიორა ფიორელამ დამირეკა და მითხრა, „რომას" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი სპინოზი ჩემს შვილს არ სწყალობსო. მაშინ ტოტის „მილანი" ეპატიჟებოდა, მაგრამ მე ვუპასუხე: „დარჩეს რომში, ის გუნდის მომავალი კაპიტანია. „სტადიო ოლიმპიკოზე" ტოტის დებიუტის შემდეგ მას ტელეგრამა გავუგზავნე. ფრანჩესკო ამის შემდეგ ხშირად მირეკავდა და ყველა დღესასწაულს მილოცავდა. მერე ჩვენი ურთიერთობა გაიშვიათდა, მაგრამ მისგან არაფერს ვითხოვ. მსურს, რომ ეს მოწმობა დავუბრუნო, რომელიც ისევე არ იყიდება, როგორც თვითონ „რომას" კაპიტანი და თილისმა ფრანჩესკო ტოტი".

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიცილიაში ნიგერიელი შეუტევს



სტეფან მაკინვა

**სიცილიურმა** „პალერმომ" მორიგი საწადელი აისრულა და „ატალანტას" ფორვარდი სტეფან მაკინვა დაიმატა. ბერგამოელებთან მოლაპარაკება უკვე საკმაო ხანია, მიმდინარეობდა და მხარეები გუშინ საბოლოოდ შეთანხმდნენ, თუმცა ტრანსფერის ფინანსური დეტალები ამ ეტაპზე უცნობია. 21 წლის ნიგერიელმა „რენცო ბარბერას" ბინადრებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„პალერმოს" რიგებში ამჟამად ოთხი ახალგაზრდა და პერსპექტიული ფორვარდია. მაკინვა „ბრეშადან" ნაყიდ ანდრეა კარაჩოლოს, პიეტრო ბალისტიერისა და სიმონე პეპეს შეუერთდა. ამას ლუკა ტონიც ემატება, რომლის „ფიორენტინაში" გადასვლაც სავარაუდოდ, საბოლოოდ ჩაიშალა და, სიცილიელთა უფროსობის თქმით, იგი გუნდში დარჩება.

ამ ხუთი თავდამსხმელიდან ალბათ მინიმუმ ერთს, გუნდის დროებით დატოვება მაინც მოუწევს. სავარაუდოდ, ეს პეპე იქნება, რომელიც გასულ სეზონში „პიაჩენცაში" იყო განათხოვრებული. გამორიცხული არაა, 21 წლის ფორვარდი ამჯერად ერთი წლით სწორედ „ატალანტას", მაკინვას შემცვლელის რანგში დაუთმონ.

მაკინვა კი, რომელიც თავისი ახალი კლუბით ძალიან კმაყოფილია, მომავალ სეზონში სიცილიელთა ერთ-ერთი მთავარი დარტყმითი ძალა იქნება. მოგეხსენებათ, ნიჭიერ აფრიკელს კიდევ მრავალი კლუბი უტრიალებდა, მათ შორის გრანდებიც, თუმც „პალერმომ" ყველას დაასწრო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# მაშ, ჩელსის ლანძღვა შეიძლება და არსენალისა არა? ვინ არის ეს მაურინიუ...

*„ჩელსი“ იძულებული გახდა მხარი დაეჭირა თავის მწვრთნელ ჟოზე მაურინიუსთვის, რომელმაც ამ დღეებში, ერთ-ერთ ინტერვიუში „არსენალი“ გაკენწლა, ხოლო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მის ამ „კენწვლას“ არასაჭირო, უიმედო, არააკურატული და ფეხბურთის იმიჯის შემლახველი უწოდა*



ჟოზე მაურინიუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამაც გააკრიტიკა

**საქმე ისაა**, რომ მაურინიუს ნათქვამი პირდაპირ შეეხო თავად ასოციაციას. კერძოდ, პორტუგალიელი ამტკიცებდა, რომ პრემიერლიგის კალენდარი „არსენალის“ სასარგებლოდაა შედგენილი, ხოლო „მეთოფეთა“ ვიცე-თავმჯდომარეს, დევიდ დინს ფეხბურთის ასოციაციაში დაკავებული თანამდებობიდან უნდა ხსნიდნენ.

ამის გაგონებაზე ფეხბურთის ასოციაციას, ბუნებრივია, ბრაზი მოუვიდა და კატეგორიულად განაცხადა, რომ ჟოზე მაურინიუ სრულიად უგუნურად მაშინ გამოტყვრა, როდესაც ის ინგლისურ ფეხბურთში მონაწილეთა ქცევის გამოსწორებაზე მუშაობს.

პასუხად „ჩელსიმ“ განაცხადა: „ბოლო თვეების განმავლობაში „არსენალის“ წარმომადგენელთა მხრიდან კრიტიკულ შენიშვნათა მთელი დასტა მივიღეთ. ეს შენიშვნები ეხებოდა, როგორც ჩვენი კლუბის ცალკეულ თანამშრომლებს, ასევე მთლიანად „ჩელსის“. გარდა ამისა, იყო მრავალი ცალკე აღებული ეპიზოდი. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მოგვეცემოდა ამ გამოხდომებისგან საჯაროდ თავდაცვის საშუალება და როდესაც საამისო მომენტი დადგა, ჟოზე მაურინიუმ სრულიად ლოგიკურად გააკეთა თავისი კომენტარი.

ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ „ჩელსის“ ძალიან კარგად ესმის თავისი პასუხისმგებლობა ფეხბურთის იმიჯის მოფრთხილებასთან დაკავშირებით და, როგორც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან, ასევე პრემიერლიგასთან, კონფლიქტის არანაირი სურვილი არ აქვს. ასევეა განწყობილი ჟოზეც.

ნებისმიერი კითხვა, რომელიც ჩვენ ფეხბურთის მართვასთან დაკავშირებით შეიძლება გაგვიჩნდეს და კამათის საკითხად იქცეს, შესაბამისი არხებით იქნება მიწოდებული. რაც შეეხება ჩვენს პრეტენზიას კალენდართან დაკავშირებით, იგი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებზეა დამყარებული. კერძოდ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური თამაშების შემდეგ „ჩელსის“ ზედიზედ ხუთი თამაში სტუმრად აქვს“.

შეგახსენებთ, რომ მაისში ჟოზე მაურინიუ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 200 ათასი გირვანქით დასაჯა. ამის მიზეზი კი „არსენალისგან“ ფარული მოლაპარაკებების გზით ეშლი კოულის გადაბირების მცდელობა გახლდათ. გარდა ამისა, შარშან, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრის შემდეგ, მაურინიუს უცენზურო კომენტარები 5 ათასი გირვანქა დაუჯდა, ასე რომ, პორტუგალიელს საკმაოდ კონფლიქტური ბუნება აქვს და ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ვიცე-თავმჯდომარე დინს, მას სადისციპლინო კომიტეტთან და ვერდიქტებთან არანაირი შეხება არ აქვს და მასთან დაკავშირებით ასოციაციის განცხადებაში წერია:

„არსენალელთა ვიცე-თავმჯდომარე გახლავთ ერთი ოთხთაგანი, რომელიც ფეხბურთის ასოციაციის საბჭოში პრემიერლიგას წარმოადგენს. ეს ოთხი წარმომადგენელი კი თავად პრემიერლიგის ოცმა გუნდმა, მათ შორის „ჩელსიმ“ აირჩია. უნდა დავძინოთ, რომ მისტერ დინი არაფერ შუაში არ არის სადისციპლინო საკითხებთან. ის საერთოდ არ გახლავთ სადისციპლინო...კომიტეტის წევრი“.

როგორც ჩანს, ჟოზე მაურინიუს განცხადება დინის შესახებ, ინგლისის საფეხბურთო წრეებში მაინც მის სადისციპლინო შიშთან დააკავშირეს და პასუხიც ამიტომ გასცეს.

**ბაჩუნა ძიძია**



პოლ გესქოინი მოედანზეც არაფერს ერიდებოდა

# თინი
## გესქოინი ახალგაზრდებს აღზრდის?

**ინგლისური** ფეხბურთის ლეგენდამ ნაირგვარი გაგებით, პოლ გესქოინმა პორტუგალიაში გამგზავრება და იქ მწვრთნელად მუშაობა გადაწყვიტა — „ალგარვე იუნაიტედის“ მეპატრონის, კორადო კორეგის განცხადებით, ყოფილმა ვარსკვლავმა მისი მიწვევა მიიღო და დაყაბულდა კიდეც.

„გესქოინმა თქვა, რომ ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელობა უნდა. მას სურს თავისი სახელი განწმინდოს და წარსულის შეცდომები გამოასწოროს, ხოლო ნიჭიერ ახალგაზრდებს ასწავლოს, როგორ უნდა გახდნენ ნამდვილი პროფესიონალები და მისი სისულელეები არ გაიმეორონ“.

კორეგის თურმე დიდი სამომავლო გეგმები აქვს და კლუბის პირველ დივიზიონში აყვანაც კი სურს, რისთვისაც 38 წლის ინგლისელის დახმარება სჭირდება.

ვნახოთ, თუ რას იზამს ერთ დროს ლოთი, საკუთარი ცოლის გამლახავი, ოინბაზი და ათასი სისულელეების ჩამდენი გესქოინი მწვრთნელობაში.

**ბაჩუნა ძიძია**

## ჩემპიონთა ლიგა 2005-2006
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ჰაკა (ფინეთი) 1:0 პიუნიკი (სომხეთი)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 ზრინსკი (ბოსნია)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 შელბურნი (ირლანდია)
HB ტორსჰავნი (ფარერები) 2:4 კაუნასი (ლიტვა)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 2:0 ტირანა (ალბანეთი)
ლივერპული (ინგლისი) 3:0 ლანსანტფრეიდი (უელსი)
1:0, 2:0, 3:0 ჯერარდი (8, 21, 89)
**ლივერპული:** რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, უორნოკი (ზენდენი 64), პოტერი (ჯ. სისე 76), ხაბი ალონსო, ჯერარდი, რიისე, მორიენტესი, ლე ტალეკი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მსაჯი: ვან დერ ველდე (ბელგია)
44 760 მაყურებელი



AFP ლივერპული

სტივენ ჯერარდმა ქომაგები გვარიანად ასიამოვნა

# პირველი ჰეთ თრიქი კარიერაში
## მაკკენამ ლივერპულს მილანი გაახსენა

**უელსურ** „ლანსანტფრეიდს“, რომლის საშინაო მატჩებსაც ქართული საზომით ერთი ქორწილის ხალხი ესწრება, გადაჭედილი „ენფილდ როუდი“ დახვდა — „ლივერპულმა“ სეზონის პირველი შეხვედრა იოლად მოიგო, კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა კი კარიერაში პირველად შეასრულა ჰეთ თრიქი.

უელსელთა მწვრთნელმა კენ მაკკენამ ნამატჩევს თქვა: „ჯერარდი ბრწყინვალე იყო. მან ისე ითამაშა, როგორც „მილანის“ წინააღმდეგ. მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია. კლასში სხვაობა აშკარაა, მაგრამ აქ უკეთეს გუნდებსაც წაუგიათ 0:3. ვინ იცის, იქნებ ჩვენ იგივე მოვახერხოთ, რაც „ლივერპულმა“ „მილანთან“ გააკეთა“.

რაფაელ ბენიტესი: „ჯერარდი ნაღდი ლიდერია და როცა ისე თამაშობს, უკვე წინასწარ ვფიქრობ, რომ კარგი სეზონი გველის. ყოველთვის ვამბობდი, გუნდის აწყობა მის გარშემო მსურს-მეთქი და მიხარია, რომ მან კონტრაქტი გააგრძელა“.

სტივენ ჯერარდი: „კონტრაქტთან დაკავშირებული ამბების შემდეგ ფანების მხარდაჭერას მაინც ვგრძნობ. სამი გოლი კარგია, მაგრამ სეზონი ახალდაწყებულია და ქომაგებს ვპირდები, რომ უკეთეს კაპიტანს ნახავენ“.

რვა წუთი დასჭირდა ჯერარდს პირველი გოლის გასატანად: „ლივერპულის“ კაპიტანმა დოჰერტის კარში ბურთი ახლოდან შეაგორა.

ამის შემდეგ სტივენ ჯერარდმა მოედნის ცენტრიდან იარა, საჯარიმოს ხაზთან მისულმა კი მეკარეს ბურთი თავზე გადააველო — 2:0.

უელსელთა გოლკიპერ დოჰერტის მთელი მატჩის განმავლობაში საქმე არ გამოლევია, „ლივერპულის“ ახალშეძენილმა მეკარე ხოსე რეინამ კი უსაქმურობისგან მოიწყინა. ამ მატჩში ბუდევინ ზენდენის დებიუტიც შედგა. მილან ბაროში და ჯიბრილ სისე სათადარიგოებში იყვნენ, ხოლო ფერნანდო მორიენტესმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ჩემპიონთა თასის მფლობელთან ორბურთიანი სხვაობით წაგება „ლანსანტფრეიდისთვის“ ღირსეული მარცხი იქნებოდა, მაგრამ სტივენ ჯერარდმა ბოლო წუთზე გატანილი მესამე გოლით ანგარიში სოლიდური გახადა.

„ლივერპულის“ მეტოქე მომდევნო ეტაპზე ალბათ ლიტვური „კაუნასი“ იქნება, რომელმაც ფარერებზე იქაურ „ტორსჰავნს“ მოუგო. პირველ ტაიმში ანდრიუს ველიჩკას დუბლით დაწინაურებულ ლიტველებს მატჩის სათავისოდ დასრულება არ გასჭირვებიათ, თუმც „მეთევზეებისგან“ ორი გოლი მაინც გაუშვეს.

ფინეთისა და სომხეთის ჩემპიონთა მატჩი, ცხადია, დიდად საინტერესო სანახავი ვერ იქნებოდა. თამაშზე უფრო სახალისო „ჰაკას“ მწვრთნელ ოლი ჰუტუნენისა და მასპინძელთა მეგოლე იუჰა პასოიას გვარია. პასოიამ პირველ ტაიმში გაუტანა „პიუნიკს“ და ამის შემდეგ სომხეთის ჩემპიონი იმას ცდილობდა, რომ მეტი გოლი აღარ გაეშვა.

სლოვენიურმა „ნოვა გორიცამ“ შარშან თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ მესამე საკვალიფიკაციო ეტაპამდე იარა და იქ ორი მატჩის ჯამში „მონაკოსთან“ 0:9 დამარცხდა. ამჯერად სლოვენიელებმა კვლავ კარგად დაიწყეს, რაკი ალბანურ „ტირანას“ 2:0 სძლიეს და არცთუ ურიგო ფორა შეიქმნეს საპასუხო მატჩის წინ.

**მაია ხუციშვილი**

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ავსტრია. I დივიზიონი

**15 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 6 | კაფენბერგი-ალტახი | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 21:00 | 7 | გრატკორნი-ლეობენი | 2.45 | 3.10 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 21:00 | 8 | კუფშტაინი-შვანენშტადტი | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 21:00 | 9 | ავსტრია(ლ)-ლინცერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 21:00 | 10 | კერნტენი-ავსტრია(მ) | 1.55 | 3.50 | 4.90 | 1.07 | 1.17 | 2.04 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 12 | გრასჰოპერი-ივერდონი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 21:30 | 13 | სტ.გალენი-ციურიხი | 2.30 | 3.10 | 2.70 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| 21:30 | 14 | თუნი-აარაუ | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 21:30 | 15 | ბაზელი-შაფჰაუზენი | 1.25 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.00 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

**15 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 16 | ბადენი-ლუგანო | 2.80 | 3.10 | 2.20 | 1.47 | 1.23 | 1.28 |
| 21:30 | 18 | კონკორდია-იუვენტუსი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 19 | ლოკარნო-შო დე ფონი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 21:30 | 20 | კიასო-ბელინცონა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:30 | 22 | სიონი-ლუცერნი | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 21:30 | 23 | კრინსი-ვოლენი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 21:30 | 24 | ლოზანა-ვინტერთური | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 17 | ვადუცი-მეირინი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 16:30 | 21 | ბოლმი-ვილი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |

### რუსეთი

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14:00 | 25 | მოსკოვი-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.10 | 1.54 | 1.26 | 1.23 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 26 | ტერეკი-ცსკა | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 15:00 | 27 | დინამო-ზენიტი | 2.20 | 2.90 | 3.10 | 1.25 | 1.28 | 1.49 |
| 15:00 | 28 | როსტოვი-ტორპედო | 2.65 | 2.90 | 2.55 | 1.38 | 1.29 | 1.35 |
| 15:00 | 29 | ალანია-კრილია | 2.00 | 2.90 | 3.70 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 15:00 | 30 | ამკარი-შინიკი | 2.40 | 2.90 | 2.90 | 1.31 | 1.31 | 1.45 |
| 15:00 | 31 | რუბინი-სატურნი | 1.75 | 3.10 | 4.20 | 1.11 | 1.23 | 1.78 |
| 15:00 | 32 | ტომსკი-ლოკომოტივი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |

### სლოვაკეთი

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 33 | ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 20:00 | 36 | რუჟომბეროკი-ინტერი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 35 | ჟილინა-ნიტრა | 1.45 | 3.60 | 6.40 | 1.03 | 1.18 | 2.30 |
| 12:30 | 37 | პეტრჟალკა-ტრნავა | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 38 | პორს გრენლანდი-ალტა | 1.35 | 4.50 | 6.00 | 1.03 | 1.10 | 2.57 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 39 | ბრინი-სტაბეკი | 2.35 | 3.70 | 2.40 | 1.43 | 1.18 | 1.45 |
| 20:00 | 40 | მანდალი-პიოდი | 1.65 | 4.10 | 3.90 | 1.17 | 1.15 | 1.99 |
| 20:00 | 41 | ლოვ ჰამი-მოსი | 3.80 | 3.80 | 1.70 | 1.89 | 1.17 | 1.17 |
| 20:00 | 43 | კონგსვინგერი-სოგნდალი | 2.20 | 3.60 | 2.70 | 1.36 | 1.21 | 1.54 |
| 20:00 | 44 | ჰიონეფოსი-ფოლო | 1.55 | 4.20 | 4.70 | 1.13 | 1.16 | 2.21 |
| 20:00 | 45 | სანდეფიორდი-სტრომსგოდსეტი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |

### შვედეთი. ალსვენსკა

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 47 | ჰელსინგბორგი-იორგრიტე | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 19:00 | 48 | ჰამარბი-ლანდსკრონა | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 49 | მალმიო-ჰალმსტადი | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |

**18 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 50 | ასირისკა-ჰეკენი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 51 | იურგორდენი-სუნდსვალი | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 21:00 | 52 | კალმარი-ელფსბორგი | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |

### შვედეთი. სუპერეტა

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 55 | გაის-ბრომაპოიკარნა | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| 18:00 | 56 | იოსტერსი-დეგერფორსი | 1.60 | 3.40 | 4.60 | 1.08 | 1.18 | 1.95 |
| 18:00 | 57 | ატვიდაბერგი-ლიუნგკილე | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 58 | აიკ-ტრელებორგი | 1.40 | 4.00 | 6.00 | 1.03 | 1.13 | 2.40 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 59 | ფრიოლუნდა-ბოდენსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 19:00 | 60 | იორებრო-მიალბი | 1.45 | 3.90 | 5.80 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 19:00 | 61 | ფალკენბერგი-ნორჩიოპინგი | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 19:00 | 62 | ვესტეროსი-ვესბი | 2.20 | 3.30 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.50 |

### ფინეთი

**16 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 65 | იარო-ჰაკა | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 17:00 | 66 | კტპ-ლაჰტი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

**17 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 67 | კუოპიო-მიუპა | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |
| 20:00 | 69 | ტპ 47-როვანიემი | 2.00 | 3.10 | 3.20 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 20:00 | 70 | ალიანსი-ტურკუ | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |

### ირლანდია

**15 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 79 | უოტერფორდი-ბრეი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 22:45 | 81 | დუბლინი-სტ.პატრიკსი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 22:45 | 82 | შემროკი-დერი | 2.65 | 3.00 | 2.35 | 1.40 | 1.24 | 1.31 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 83 | პერპსი-ბოჰემიანი | 3.00 | 3.10 | 2.10 | 1.52 | 1.23 | 1.25 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 80 | დროგედა-კორკი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 102 | ვაშინგტონი-სან ხოსე | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 103 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |
| 23:45 | 104 | ნიუ იორკი-კოლორადო | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| 23:45 | 105 | ნიუ ინგლენდი-დალასი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 23:45 | 106 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.45 | 3.70 | 5.80 | 1.04 | 1.15 | 2.25 |
| 23:45 | 107 | ლოს ანჯელესი-ჩივასი | 1.45 | 3.60 | 6.20 | 1.03 | 1.17 | 2.27 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 108 | გოიასი-ბრაზილენსე | 1.55 | 3.60 | 4.80 | 1.08 | 1.17 | 2.05 |
| 23:00 | 109 | პონტე პრეტა-ფიგეირენსე | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 110 | პარანა-კორინთიანსი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 23:45 | 111 | პაისანდუ-კრუზეირო | 2.15 | 3.20 | 2.85 | 1.28 | 1.22 | 1.50 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 112 | პალმეირასი-ფორტალესა | 1.50 | 3.60 | 5.30 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| | | **17 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 113 | სანტოსი-სან პაულუ | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:00 | 114 | ფლამენგო-ვასკუ და გამა | 2.05 | 3.20 | 2.95 | 1.24 | 1.20 | 1.53 |
| 23:00 | 115 | კურიტიბა-ბოტაფოგო | 1.60 | 3.50 | 4.60 | 1.09 | 1.18 | 1.98 |
| 23:45 | 116 | ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 23:45 | 117 | ატლეტიკო მნ-ატლეტიკო პრ | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 118 | ფლუმინენსე-სან კაეტანო | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 20:30 | 172 | აუე-კაიზერსლაუტერნი | 3.20 | 3.00 | 2.00 | 1.54 | 1.23 | 1.20 |
| 21:00 | 173 | კოტბუსი-ვერდერი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| | | **ხორვატია. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **15 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 189 | პაიდუკი-რიეკა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **16 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 600 | სკილტონი მ-უილიამსი დ ---------- | 1.60 | | | 20.00 | | 2.20 |
| 22:00 | 601 | ლარიოსი ო-მაკალოხი უ ---------- | 1.20 | | | 25.00 | | 4.00 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

# ავიამშენი არ დანგრეულა

## მოსეშვილმა ახალგაზრდობა უნდა შემოიკრიბოს



ლევან მოსეშვილი

**საქართველოს** ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი „თბილავიამშენი" მომავალ სეზონშიც შეეცდება ჩემპიონობას, თუმც შემადგენლობა შედარებით ახალგაზრდული ეყოლება. არადა, საკალათბურთო კულუარებში ამბობდნენ, თუ ავიატორები ფინალს ვერ მოიგებენ, საავიაციო ქარხნის დირექტორი პანტიკო თორდია გუნდის სამომავლოდ დაფინანსებაზე უარს იტყვისო.

ეს ვარაუდი არ გამართლდა. „ავიამშენმა" ჩემპიონობა კი დათმო „სტუ-ჯეოსელთან", მაგრამ გუნდი არ დაშლილა. მთავარი დირექტივა, რაც „ავიატორთა" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ხელმძღვანელობისგან მიიღო, შემადგენლობის გაახალგაზრდავება გახლავთ...

— გუნდს ყველა ვეტერანი დატოვებს, ხოლო მათ ადგილს შედარებით ახალგაზრდა კალათბურთელები დაიკავებენ — გვითხრა ბატონმა ლევანმა.

— გუნდი უკვე დატოვეს ასაკოვანმა მოთამაშეებმა?

— კახა შენგელიას ისრაელის კლუბში გადასვლის ვარიანტი აქვს და გვთხოვა, გამიშვითო. ასევე დავით ბერძენიშვილსაც უცხოური ვარიანტი გამოუჩნდა და ალბათ ისიც გამოაკლდება „ავიამშენს". სხვა წამსვლელთა ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, თუმც ცვლილებები რომ მოხდება, ამას წყალი არ გაუვა.

— ვისი შემატება გსურთ? სელექციას აქედანვე დაიწყებდით...

— ჯერჯერობით მხოლოდ დავით ბერიშვილი შეგვემატა „სტუ-ჯეოსელიდან". მასთან უკვე გავაფორმეთ კონტრაქტი. ამავდროულად სხვა ახალწვეულთა კანდიდატურებსაც განვიხილავთ, ირანიდან და აზერბაიჯანიდან მობრუნებული კალათბურთელების ჩათვლით.

— როდის იკრიბებით?

— პირველი აგვისტოდან ვარჯიშს განვაახლებთ და მოსამზადებელ პერიოდს თბილისში გავივლით. სწორედ ამ დროისთვის გაირკვევა ის შემადგენლობა, რომლითაც მომავალ სეზონში ვითამაშებთ.

— მიზანი ისევ ჩემპიონობა იქნება?

— აქედანვე საჩემპიონო განაცხადის გაკეთება ცოტა ძნელია, გააჩნია, რა დაფინანსება გვექნება და რომელ მოთამაშეებს მოვიწვევთ. თუ კლუბის ხელმძღვანელობა ისეთივე ხელგაშლილი იქნება, როგორც შარშან, ალბათ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**ირაკლი პერტაია**



# პირველი მარცხი

**ნაგოიას** [illegible] გაიარა და [illegible] კუტის ორმოცდაცხრაიან სიას სათავეში ორი ლიდერი [illegible] დღამდე ტრიო ლიდერობდა და მათ შორის ქართველი ლევან [illegible] იწონებდა თავს. სამწუხაროდ, [illegible] ნდელი ტურის ერთადერთი დამარცხებული პირველლიდერობისა [illegible] კოკაი აღმოჩნდა. [illegible] რუ და ექს-[illegible] ასპროცენტიანი მაჩვენებლებით [illegible] მელებენ ბრძოლას.

„რუსული ფენიქსად" წოდებული [illegible] დოლოის როსტისიან ჩვენებურის იქამდე თანაბარი ბალანსი ჰქონდა [illegible] რომელმ ნაგოიას ბასტო [illegible] დაიწყო, [illegible] და სპეციალისტები [illegible] გაკეთებისას „შავ ზღვისპირს" [illegible] ბიღებენ, მაგრამ...

ახლა ქართველი [illegible] კაიოსიან, [illegible] და 19 წლის კოსენოსატოსიან [illegible] აღგილს იღებს. [illegible] რიგითი [illegible]

**ოთარ მაღლაკელიძე**



# რუსები სოჭს მაინც არ ეშვებიან

**მათ** შორის, ვინც 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე ოფიციალურად პრეტენზიას აცხადებს და სამისოდ განაცხადებიც უკვე გააკეთა, არის ჩვენი ბორჯომი, ავსტრიის სამთო კურორტი ზალცბურგი, ბულგარეთის დედაქალაქი სოფია და ნორვეგიის პატარა ქალაქი ტრომსი.

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში იგივე სურვილი გამოთქვა საფრანგეთის ოთხმა ქალაქმა. მათ შორის პარიზმა და გრენობლმა, რომელმაც ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 1968 წელს უკვე უმასპინძლა.

ეტყობა, ასეთსავე სურვილს ოფიციალურად გამოთქვამს რუსეთის სოჭიც.

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩოვმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ამ ორგანიზაციის აღმასკომმა ასეთი გადაწყვეტილება უკვე მიიღო. თუმც საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ოლიმპიურ კრებაზე იქნება, რომელიც 26 ივლისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ხუთ ფინალისტს შორის იყო, მაგრამ კენჭისყრისას პირველი გამოეთიშა ამ ბრძოლას. ახლა, ეტყობა, რუსეთი ზედიზედ მეორედ ეცდება ოლიმპიადის ხელში ჩაგდებას.

2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ სოჭის წამოყენების იდეას მხარს უჭერს რუსეთის დუმის სპიკერი ბორის გრიზლოვი, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამ ქვეყნის ახალ საგანცხადო კომიტეტში შესვლაზე.

„რუსეთს, რომელიც მსოფლიოს ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია, ყველა საფუძველი აქვს, რათა პრეტენზია განაცხადოს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე. ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რათა დავარწმუნოთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. რუსეთს მსოფლიო სპორტში მოწინავე პოზიცია უკავია და ჩვენ შეგვიძლია არა მხოლოდ სპორტულ არენებზე გამარჯვება, არამედ ოლიმპიური თამაშების სამასპინძლო კონკურსში წარმატებაც."

შეგახსენებთ, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის განაცხადების წარდგენის ბოლო ვადა წლევანდელი 28 ივლისია, ხოლო გამარჯვებულის ვინაობა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 2007 წლის სხდომაზე გაირკვევა, რასაც გვატმალა უმასპინძლებს.

**ავთანდილ ტყვიშელი**



ანიკა სორენსტამი



სერენა უილიამსი

# სერენამ მკერდი გვიჩვენა

**ამერიკაში** გაიმართა მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც ESPN-ის ეგიდით ჩატარდა. ეს ღონისძიება სპორტულ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ელიტარული მოვლენაა. აქ საზოგადოებას ეძლევა იშვიათი შესაძლებლობა „ვარსკვლავები" ცივილურ სამოსში იხილონ.

ექსპერტთა თქმით, ცერემონიალზე ყველაზე სექსუალური იყო სერენა უილიამსი, რომელიც სრულებითაც არ ფარავდა თავის მომხიბვლელ მკერდს და საერთოდ, ჩოგბურთელები იქ ყველაზე გამორჩეულნი იყვნენ და ყველაზე მეტ ყურადღებასაც იპყრობდნენ. მაგალითად, ბევრმა ჟურნალისტმა მიაქცია ყურადღება მარია შარაპოვას, რომელმაც მთელი საღამო თავის კოლეგა ენდი როდიკთან ერთად გაატარა და ფოტორეპორტიორების წინაშეც სიამოვნებით პოზიორობდა.

ამერიკელები ვარაუდობენ, მარიას პირველი ნამდვილი რომანი სულ მალე ექნებაო.

შარშანდელი წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ველომრბოლელი ლენს არმსტრონგი.

ქალთა შორის წლის სპორტსმენი გახდა მეგოლფე ანიკა სორენსტამი, რომელიც „ბოსტონ რედ სოქსის" წევრია.

კალათბურთელმა დუენ ვეიდმა („მაიამი ჰითი") გაიმარჯვა ნომინაციაში „გარღვევა", ხოლო რეჯი მილერის („ინდიანა პეისერსი") ბოლო მატჩი წლის ყველაზე დასამახსოვრებელ ამბად მიიჩნიეს.

მარია შარაპოვა და შვეიცარიელი როჯერ ფედერერი ჩოგბურთის საუკეთესო წარმომადგენლებად აღიარეს.

წლის მოკრივედ დაასახელეს საშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ბერნარდ ჰოფკინსი.



მარია შარაპოვა

**ლამის** 24-საათიანი განუწყვეტლივი მოლაპარაკების შემდენ ნჰლ-მა და მოთამაშეთა ასოციაციამ საბოლოოდ მიაღწიეს შეთანხმებას და დაასრულეს ეს მოსაბეზრებელი და საძულველი ლოკაუტი. ახალი კოლექტიური შეთანხმება ექვსი წლის განმავლობაში იმოქმედებს, ჰოკეისტთა ჩემპიონატი კი ოქტომბრის პირველ კვირას დაიწყება. მანამდე კიდევ ერთი ნაბიჯი დარჩა. როგორც ლიგამ, ასევე პროფკავშირმა, ახალი შეთანხმების რატიფიცირება უნდა მოახდინონ და სავარაუდოდ ეს მომდევნო კვირის დასაწყისში მოხდება.

 აი, ასე დასრულდა ნჰლ-ის ჰოკეის ისტორიაში ყველაზე ბნელი და ძნელი ხანა. ხუმრობაა, ჰოკეი ამერიკაში ლიგის დაარსების შემდეგ ესოდენ დიდი ხნით არასდროს შეყვეტილა. მსოფლიო ომის დროსაც კი ტურნირი ჩვეულებრივ ტარდებოდა და რა საწყენია, რომ ვილაცათა ამბიციების გამო ჰოკეის მოყვარულები ერთი წლის განმავლობაში საყვარელი სანახაობის გარეშე დარჩნენ.

თუმც დღეს აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი. ისტორია თვითონ განსჯის, ყველას და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. მთავარი ისაა, რომ ნჰლ არ მომკვდარა და ახლა ამ თამაშთან დაკავშირებულმა უკლებლივ ყველა პიროვნებამ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თამაში უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს. სხვანაირად ქომაგებს ველარ დაიბრუნებენ.

„ეს ახალი დღეა ჰოკეისთვის. ნამდვილად ამაღელვებელი და ისტორიული მოვლენაა" — ამბობს „ფილადელფიის" თავკაცი კენ ჰიჩკოკი.

„ახლა ჰოკეისტებმა იმაზე უნდა იფიქრონ, რომ ქომაგებთ რაც შეიძლება, მალე დაავიწყდეთ წყენა. თუმც, გამოგიტყდებით, ფანებს მოკლე მეხსიერება გვაქვს და მერწმუნეთ, ჩვენ მალე ვაპატიებთ მოთამაშეებს და კვლავ დიდი სიამოვნებით დავბრუნდებით სტადიონებზე" — ეს კიდევ ვინმე დუგ სიტლერის სიტყვებია.

საინტერესოა, რომ მოლაპარაკება ბოლო ათი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, ხოლო სამშაბათს მორიგ სხდომაზე შეკრებილმა მოხელეებმა დათქვეს, რომ მანამდე არ გასულიყვნენ ოთახიდან, სანამ არ მიაღწევდნენ შეთანხმებას.

საბოლოოდ ასეც მოხდა და ლოკაუტმა თავისი არსებობის 301-ე დღეს სული დალია.

არსებული წესის თანახმად, დოკუმენტი მხოლოდ რატიფიცირების შემდეგ გამოქვეყნდება და მისი სრული შინაარსიც მაშინ გახდება ცნობილი, მაგრამ მთავარი დეტალები ყველასთვის ცნობილია. მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავება თუ იქნება პრესის მიერ უკვე გამოცხადებულ და რეალურ ციფრებს შორის. მაგალითად, ზუსტად არაა ცნობილი ხელფასების ზედა (37-დან 39 მილიონ დოლარამდე) და ქვედა (21-24) ზღვრები. სამაგიეროდ, დანარჩენ ციფრებს უკვე დანამდვილებით აცხადებენ: შემოსავლების არაუმეტეს 54 პროცენტისა მოდის ხელფასებზე, მოთამაშეთა ჯამაგირები 24 პროცენტით მცირდება და არც ერთი ჰოკეისტის გასამრჯელო არ იქნება გუნდური ბიუჯეტის 20 პროცენტზე მეტი. სხვათა შორის, პრესაში ისიც დაიწერა, რომ მაქსიმალური ხელფასი 7,4 მილიონს შეადგენს, ხოლო მინიმალური 450 ათას დოლარს, მაგრამ ესეც ჯერ ბოლომდე დაზუსტებული არაა.

დანარჩენზე [illegible] მაშინ ვოქვათ, როცა შეთანხმება გამოქვეყნდება, მანამდე კი უბრალოდ დავტკბეთ იმით, რომ ჰოკეი დაგვიბრუნდა.

რაც შეეხება დრაფტს, ნჰლ-ის გეგმების თანახმად, ალბათ 30 ივლისს ოტავაში გაიმართება. ლოკაუტის დასრულების გამოცხადებასთან ერთად ახალბედების აყვანის ახალი წესიც გახდა ცნობილი. უნდა ითქვას, რომ უფრო დემოკრატიულ და საინტერესო პრინციპს ვერც წარმოვიდგენდით. მაშ ასე, უნიჭიერესი სიდნი კროსბის აყვანის შანსი უკლებლივ ყველა კლუბს მიეცა და ბოლო სეზონის აუტსაიდერებს არცთუ ისე დიდი უპირატესობა ექნებათ. დრაფტის დღეს სპეციალურ კალათაში 48 ბურთი მოთავსდება, საიდანაც სამ-სამზე რეინჯერსი, პიტსბურგი, ბუფალო და კოლუმბუსი დაიწერება, კიდევ 10 გუნდს ორ-ორი ბურთი ეკუთვნის, ხოლო დანარჩენებს — თითო. ასე რომ, შანსი ყველას აქვს. დრაფტის დანარჩენ ნომრებსაც ასეთივე პრინციპით აირჩევენ. ეს იქნება უაღრესად საინტერესო და მოულოდნელი დრაფტი. იმედია, რომ ნჰლ-ის უახლესი ისტორიის პირველ ფურცელს ასევე შთამბეჭდავი ჩემპიონატი მოჰყვება.

# ჰოკეის ნათელი დღე




„დაგვიბრუნეთ ჩვენი თამაში" — ითხოვენ გულშემატკივრები



ბევრი ფიქრობს, ეს შეთანხმება ნჰლ-ის კომისარ გერი ბეტმენის გამარჯვებააო, მაგრამ შიშობენ, პიროსის გამარჯვება არ იყოსო

**სამველ ღარიბიანი**



### ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

# ბასტილიის აღების დღეს მონკუტიემ ალპები აიღო



დავიდ მონკუტიემ ბასტილიის აღების დღეს ფრანგები ასახელა

AFP ფონ დე მანიდან

**ამ** ბოლო წლებში ფრანგებმა გვარიანად დაიხიეს ველოტურებში და შარაგზებზე, მათ შორის შინაური ტურ დე ფრანსიც, გადამთიელებს დაუთმეს. ხეირიანი ფრანგი მრბოლები წლიდან წლამდე აკლდებიან მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ველოტურს. დიდი ჩაუქი არც დავიდ მონკუტიე გახლავთ, თუმც ეროვნულ დღესასწაულზე, 14 ივლისს — რაც თავადაც მოგეხსენებათ, ბასტილიის აღების დღეა — კარგ უცხოტომელთა ბოგინის ყურებას მიჩვეულ ფრანგებს შინაურის გამარჯვება ანახა.

ალპების დაკბილულ გზებზე, ბრიანსონიდან დინ ლე ბიანამდე გაჭიმულ 187-კილომეტრიან მე-12 ეტაპზე მონკუტიე კიდევ ათ მოიერიშესთან ერთად მოსწყდა ძირითად ჯგუფს. 11 გაქცეულს ორიოდ კილომეტრის შემდეგ კიდევ ორიც შეუერთდა, მაგრამ ვინაიდან ამათ შორის არავინ გახლდათ საერთო ჩათვლაში მაღალი ადგილების პრეტენზიის მქონე, ტურ დე ფრანსის არც ერთ ფავორიტს თავი არ მოუკლავს მათი დევნით. არც არმსტრონგს, არც ბასოს, არც ულრიხს და არც ვინმე სხვას.

საშუალო მრბოლებისგან შემდგარმა 13-კაცა მოიერიშე ჯგუფმა, რომელშიც, სხვათა შორის, ერია ლეგენდარული მრბოლის, ტურის ხუთგზის ჩემპიონ ედი მერქსის ვაჟი აქსელი, საკმაოდ ჩამოიტოვა პელოტონი და ბოლო 100 კილომეტრზე გვარიანი დროც მოუგო, თუმც საერთო ჩათვლის კენწეროში ამ ეტაპს ბევრიც არა შეუცვლია რა. თავად მონკუტიემ კი აშკარად აჯობა თანამოიერიშეებს, ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე ყველა ჩამოიტოვა, უახლოეს მდევარს თითქმის წუთით აჯობა, ხოლო ქარავანს — 10 წუთზე მეტით. საშობლოში ეს მონკუტიეს მეორე გამარჯვებაა.

რაც შეეხებათ ლიდერებს და ფავორიტებს, ამათ შორის აკი ზემოთაც გითხარით, ამ ეტაპს არაფერი შეუცვლია. „დისქოვერის" მუშა და აწყობილი გუნდის წევრებით შემოჯარულმა ლენს არმსტრონგმა უშფოთველად იფინიშა და კონკურენტებს არც რამე მოუგო და არც რამე დაუთმო. თუმც ოთხნახევარსაათიანი რბოლის შემდეგ ექვსგზის ჩემპიონს მაინც წაუხდა გუნება. საქმე ის გახლავთ, რომ წაიქცა მისი ერთ-ერთი გრეგარი, ასე ვთქვათ, მცველი, მანუელ ბელტრანი, ვისთვისაც ტური დამთავრდა. წაქცევის შემდეგ ბელტრანი კვლავ ამხედრდა ველოზე და პელოტონს შეერთებაც სცადა, მკურნალიც მოიხმო და ამანაც თითქოს რაღაც უწამლა, მაგრამ მან რბოლის გაგრძელება მაინც ვერ შეძლო, ფინიშამდე ვერ მივიდა და შესაბამისად ტურ დე ფრანსსაც გამოეთიშა. არადა, ბელტრანი კარგი მთიელია, 2003 წლიდან არმსტრონგის თანაგუნდელი (წლევანდლამდე „დისქოვერის" ნაცვლად „იუეს პოსტალი" ერქვა) და შარშან და შარშანწინ ჩემპიონობაში გვარიანადაც წააშველა ხელი, უკაცრავად, ფეხი. არმსტრონგს მისი იმედი ჰქონდა პირინეის მთებში, რომლის აღმართიან გზასაც ტური ამ შაბათიდან შეუდგება და ცხადია, ჩემპიონს გვარიანად მოაკლდება აგრესიული მთიელი მოიერიშე.

**კოტე ყორშია**



AFP ფონ დე მანიდან

| მე-12 ეტაპი. 14 ივლისი. ბრიანსონი — დინ ლე ბიანი. 187 კმ | |
|---|---|
| 1 დევიდ მონკუტიე (საფრანგეთი, კოფიდისი) | 4 სთ, 20 წთ, 6 წმ |
| 2 სანდი კასარი (საფრანგეთი, ფრანსეზ დე ჟუ) | -57 წმ |
| 3 ანხელ ვიჩიოსო (ესპანეთი, ლიბერტი სეგუროსი) | |
| 7 აქსელ მერქსი (ბელგია, დავიტამონ-ლოტო) | ორივე იგივე დრო |
| 14 რობი მაკივენი (ავსტრალია, დავიტამონ-ლოტო) | -10 წთ, 33 წმ |
| 41 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი) | |
| 43 ივან ბასო (იტალია, CSC) | |
| 44 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) | |
| 46 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | |
| 50 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი) | |
| 97 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | ყველა იგივე დრო |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი) | 46 სთ, 30 წთ, 36 წმ |
| 2 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი) | -38 წმ |
| 3 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი) | +2 წთ, 34 წმ |
| 4 ივან ბასო (იტალია, CSC) | +2 წთ, 40 წმ |
| 5 ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი) | -3 წთ, 16 წმ |
| 9 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი) | -4 წთ, 2 წმ |

DAVIS CUP by BNP PARIBAS — დევისის თასი. მეოთხედფინალი 6 - 8 თებერვალი

# ოზები გაუჩოებს საბალახოდ იწვევენ

## მოსკოვში კი უფლისწულის დევისნათლობაა



რიშარ გასკე დღეს დევისურად მოინათლება

**ამ** პარასკევ უქმეებზე ამქრის უჩაუქეს კაცმეჩოგნეთაგან მრავალნი ერთმანეთს სადევისთასო მეოთხედფინალებში შეეხლებიან. მსოფლიო, ანუ უზენაეს ჯგუფში ყურადღებას უწინარესად ორი, ავსტრალიურ-არგენტინული და რუსულ-ფრანგული დაპირისპირება იპყრობს.

თასის 28-გზის მფლობელი ავსტრალიელები სტუმრებს სიდნეის საერთაშორისო საჩოგბურთო ცენტრის ბალახსაფარზე დაუხვდებიან. უფრო ზუსტად — არგენტინელებს ავსტრალიელთაგან მხოლოდ ორთან, ამქრის მეორმეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტსა და გამოცდილ უეინ ართურსთან (რეიტინგსიის 76-ეადგილოსანი) მოუწევთ დავა. მარკ ფილიპუსისის ტრავმიანობისა და ტოდ ვუდბრიჯის პენსიაზე გასვლის გამო ესენი მეტოქეებს კენტადაც დასცხებენ და წყვილადაც. მათ წინააღმდეგ საერთეულო მატჩებში კი ჩოგნებს დავიდ ნალბანდიანი (მე-10) და გილერმო კორია (მე-15) გააქნევენ, ხოლო ართურს-ჰიუიტის ჯუფთს ნალბანდიანისა და წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტ მარიანო პუერტას წყვილი შეებმება.

თუკი ერთეულად გასარჯელ არგენტინელთა კანდიდატურები არავითარ გაკვირვებას არ იწვევს, ნალბანდიანისა და პუერტას შეწყვილებამ ბევრი კითხვა დაბადა. გაუჩოთა კაპიტანი ალბერტო მანჩინი თვლის, რომ საკითხავი აქ არაფერია: „ისინი ახლა რიგიან ფორმაში არიან, მარიანოსაც ხოშიანი პერიოდი უდგას და რაკილა წყვილადაც მშვენივრად თამაშობს, დავიდთან მისი შეჯუფთება სწორედ ამიტომ გადავწყვიტე.“

მასპინძლები იმედოვნებენ, რომ ბალახსაფარი ჯიშად მათ მეთიხნარე არგენტინელების წინააღმდეგ დამატებით თულფად წაადგება. მათი კაპიტანი ჯონ ფიცჯერალდი თავისი ნაკრების უმთავრეს კიკოდ (ანუ ტუზად) ჰიუიტს მიიჩნევს და მას სამართლიანად უწოდებს როჯერ ფედერერის მერე საუკეთესო მობალახეს.

თუმცა, ჯერ ერთი, თავად ჰიუიტის აზრით, საფარს არც იმდენად დიდი მნიშვნელობა ექნება — ეგ მით უფრო, რომ საბალახსაფრო ერთთვიური ეს-ესაა, მოთავდა — და ის უმალ მძიმე ბრძოლას მოელის, ვიდრე დარდიმანდულ ლალობას. ხოლო მეორეცაა და, უიმბლდონის 2002 წლის ფინალისტი (და წლევანდელი მეოთხედფინალისტი) ნალბანდიანი, რომელმაც ის ფინალი სწორედ ჰიუიტთან წააგო, არც თავისი და არც თავის თანაგუნდელთა საამსაფრო შანსებს ცუდად არ უყურებს.



ლეიტონ ჰიუიტი საარგენტინოდ ემზადება

„ავსტრალია ეგებ ამ საფარზე ჩვენზე ძლიერია, მაგრამ მე ბიჭებისაც მჯერა და ჩემი თავისაც. არ გაგიკვირდეთ, თუკი პირველი დღის მერე ჩვენ 2:0-ით დავწინაურდებით“ — ამბობს ის.

ისე კი შეგახსენებთ, რომ ეს ამ გუნდების მეოთხე ჯახი იქნება. აქამომდელი სამიდან პირველ ორში ავსტრალიელებმა იმარჯვეს, უკანასკნელში კი, რაიც სამი წლის წინ ბუენოსაირესულ თიხნარზე შედგა, გაუჩოებმა ოზები 5:0 დაამყნეს.

დიდ ინტერესს იწვევს ასევე 2002 წლის პარიზული დევისფინალის რემატჩი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიური სტადიონის თიხნარზე შედგება. ფრანგებს ამ შეხლაში უყოჩებს მათი 19 წლის უფლისწული რიშარ გასკე (რანგით მე-17), ვისაც აქამდე არასოდეს უდევისია. გასკეს ერთეულად ჩოგანს პოლ-ანრი მათიო (57-ე) აუბამს, ვინაც ზემოთხსენებულ ფინალში — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — მეხუთე გადამწყვეტი მატჩი მიხაილ იუჟნის დაუთმო. ფრანგთა საშაბათო წყვილს კი არნო კლემანი და მიშელ ლოდრა შეადგენენ.

რუსთაგან კენტად იგორ ანდრეევმა (46-ე) და ნიკოლაი დავიდენკომ (მე-7) უნდა იჩოგნაონ.

იუჟნი, რომელიც მსოფლიო რეიტინგსიის 27-ე საფეხურზე დგას, რუსთა კაპიტან შამილ ტარპიშჩევის გადაწყვეტილებით იმავ ანდრეევთან ერთად საწყვილაოდაა გამწესებული. თუმცა, რუსი ჟურნალისტები ეჭვობენ, რომ, თუკი საქმეს დასჭირდა, ტარპიშჩევი მას უკანასკნელ შეხვედრაში მათიოსთან საჯილდაოდ შეუშვებს ანდრეევის ნაცვლად.

არ არის გამორიცხული, კორტზე 20 წლის თეიმურაზ გაბაშვილიც ვიხილოთ. რეიტინგსიის 211-ეადგილოსანი, შესაძლოა, დავიდენკოს ჩაემაგივროს. ეს უკანასკნელი წლეულს კარიერის საუკეთესო სეზონს კი თამაშობს და რეიტინგსიის მეშვიდე ალაგამდეც აღზევებულა, მაგრამ ბოლო ორ ტურნირზე — უიმბლდონსა და გშტაადში — მატჩები მარჯვენა მაჯის ტრავმის გამო შეწყვიტა და მთლად უტკივილობას ვერც ამ დღეებში დაიკვეხს.

სხვათა შორის — და, ალბათ, ეს შეკითხვა თქვენც გაგიჩნდებოდათ — რუსებს სწორედ ტრავმიანობის გამო ვერ ეხმარებათ მათი მთავარმეჩოგნე მარატ საფინი. ვოლგისპირელ ოყრაყს ბოლო თვეების განმავლობაში მუხლის ტრავმა აწუხებდა და ამჟამად ის სწორედ სამკურნალოდ არდადეგობს.

სხვაფრივ, ეს რუსთა და ფრანგთა მეხუთე დაპირისპირება იქნება და ამათში გამარჯვებული 3:2-ით უნდა დაწინაურდეს.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მეოთხედფინალს, ერთში სლოვაკეთი ჰოლანდიას მიიღებს, მეორეში კი ხორვატია რუმინეთს დაუხვდება. თავის მე-12 დევისობაზე მოჯომარდე სლოვაკები პირველად გაეპაექრებიან უკვე 78-ედ მოდევისე ჰოლანდიელებს. ხორვატებსა და რუმინელებს კი ერთი შეხლის გამართვა უკვე მონასწრება — 1999 წელს კარპატელებმა სლავებს უპრობლემოდ გადაურბინეს. ეგეევს გამეორება, ვინძლო, ახლა მეტისმეტად გაუჭირდეთ.

DAVIS CUP by BNP PARIBAS — დევისის თასი. ევრო-აფრიკა. II ჯგუფი



გელა ელერდაშვილი



ლადო ჩიხლაძე

# ქართველები აფრიკაში დასარჩენად წავიდნენ

15-17 ივლისი დევისის თასის დღეებია და ჩოგბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში მსოფლიო ჯგუფში მებრძოლ გუნდთა ჩოგნაობები მოექცევა. სადევისთასოდ საქართველომაც შეკრიბა ნაკრები, თუმც ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი ევრო-აფრიკის მეორე ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა.

დღეს გელა ელერდაშვილის სამეული, რომელშიც ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე და ირაკლი უშანგიშვილი შედიან, აფრიკაში გაიქნევს ჩოგანს. განის დედაქალაქ აკრაში, გრინვიჩის დროით დილის ათ საათზე (ჩვენებურად 13.00) პირველი ერთეულთა შეხვედრა დაიწყება. მისი დასრულების შემდეგ კვლავ ერთეულები ითამაშებენ და თუ რომელიმე ქვეყნის ორივე ჩოგბურთელმა იმარჯვა, მის ნაკრებს მიზნამდე ერთი ნაბიჯილა დარჩება.

გუშინ საღამოს ჩვენთვის უცნობი იყო, თუ კონკრეტულად რომელი სპორტსმენები დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. სავარაუდოდ კაპიტნები არჩევანს უკეთეს რეიტინგიანებზე გააკეთებენ. საერთაშორისო კლასიფიკაციაში ჩვენებურთაგან ყველაზე მაღლაა ლაბაძე (152), ჩიხლაძე — 615-ე, ხოლო უშანგიშვილი 1104-ეა.

განის ნაკრების კაპიტანმა დავიდ ჩუჩერმა საქართველოსთან სათამაშოდ ოთხ ჩოგბურთელს უხმო, რომელთაგანაც რეიტინგში მხოლოდ ორია. ყველაზე წინაა 426-ე ადგილზე მყოფი 22 წლის ქვაბინა აჯეი-დარკო. 19 წლის ხალიფა მუჰამედი 719-ეა. გუნდში ყველაზე ხნოვანების, 25 წლის ფრედერიკ ... ირისა და 29 წლის ... დორკის შესახებ კი ოფიციალური საიტები არათუ რეიტინგს, ასაკსაც ვერ იუწყებიან, მემარცხენეები არიან თუ მემარჯვენეები.

აშკარაა, კლასით უპირატესობა ჩვენებურთა მხარესაა. აფრიკელთა მთავარი კოზირი ალბათ საკუთარ კედლებში თამაში და აფრიკული სიცხე იქნება. ელერდაშვილის გუნდი სწორედ ამიტომაც შესაგუებლად გაემგზავრა აფრიკაში მატჩამდე ოთხი დღით ადრე.

ბოლოს საქართველო-განის სადევისთასო ისტორიასა და სტატისტიკაზეც ვთქვათ. ამ ორი ქვეყნის ნაკრებები აქამდე დევისის თასზე ერთმანეთს არასოდეს გადაჰყრიან, თუმცა თითქმის ყოველთვის თანაბარი ძალის ჯგუფებში თამაშობდნენ. განელებმა დევისური ისტორია 1988 წლიდან დაიწყეს, ქართველებმა — 1994-დან. მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში ჩვენები 2003 წელს აღზევდნენ, აფრიკელები კი — შარშან.

სამდღიან ბრძოლაში დამარცხებული მომავალ სეზონს კვლავ მესამე ჯგუფში გაატარებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ირაკლი უშანგიშვილი





ირაკლი ლაბაძე

# სამეფო რბოლების ლეგენდა 10

## გრემ ჰილი

დაიბადა 1929 წლის 15 თებერვალს ლონდონში

ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1958-75 წლებში

მსოფლიოს ორგზის (1962, 68) ჩემპიონი

1963, 64, 65 წლებს ვიცე-ჩემპიონი

მოიგო 14 დიდი პრიზი – მონაკოს (ხუთჯერ), აშშ-ის (3), ჰოლანდიის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის, მექსიკის, სამხრეთ აფრიკის – თითოჯერ

176 რბოლა, 36 (14+15+7) პოდიუმი, 13 პოული, 10 უსწრაფესი წრე, 289 ქულა

გუნდები: „ლოტუსი" (1958, 59, 1967-69), **BRM** (1960-66), „**RRC** უოკერი" (1970), „ბრებემი" (1971, 72), „ემბასი-ჰილი" (1973-75)

დაიღუპა 1975 წლის 29 ნოემბერს ლონდონის მახლობლად ავიაკატასტროფაში



ფორმულა 1-ის 56-წლიან ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონობა მოუპოვებია სამ მრბოლს, რომელთა გვარია ჰილი. მათგან ყველაზე სახელოვანია ბრიტანელი ორგზის ტრიუმფატორი გრემი. მისმა ვაჟიშვილმა დეიმონმა და ამერიკელმა ფილ ჰილმა თითოჯერ დაიდგეს „სამეფო რბოლების" გვირგვინი.

ნორმან გრემ ჰილმა 30 წლის წინათ დაამყარა საფორმულო დღეგრძელობის ისეთი რეკორდი, რომელსაც დღემდე ვერავინ შესწვდა და ალბათ არც მოხერხდება მისი 18-სეზონიანი საკარიერო მიღწევის გაუმჯობესება, რადგან თითქმის ორ ათეულ წელს საჭესთან ვეღარავინ ძლებს.

უნიკალურია ისიც, რომ გრემ ჰილმა ერთადერთმა შეძლო, მოეგო ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატიც და სამი ყველაზე რთული და პრესტიჟული ავტოგაჯიბრებაც — მონაკოს დიდი პრიზი, ინდიანაპოლისის (აშშ) 500-მილიანი რბოლა და საფრანგეთში, ლე მანის 24-საათიანი მარათონი.

მრავალმხრივ ერუდირებულმა, ალღოიანმა „ჯენტლმენმა" მრბოლმა და იმავდროულად ნიჭიერმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა საკუთარი საფორმულო გუნდი შექმნა, 46-წლამდე დაჯირითობდა თავისი „ემბასი-ჰილით" და მოკლე ხანში ალბათ მენეჯერის რანგშიც წარმატებას მიაღწევდა, მაგრამ ტრასებზე არაერთ ავარიაში გადარჩენილს ბედმა ჰაერში უმუხთლა — დაასრულა თუ არა 18-წლიანი სამძღოლო კარიერა, ოთხიოდ თვეში ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

ნორმან-გრემ ჰილი დაიბადა 1929 წელს ლონდონის გარეუბან ჰემპსტედში. შეძლებული საბირჟო მაკლერის ოჯახში მამამისი შვილის სარბოლო გატაცების წინააღმდეგი იყო და სამანქანო ფულს არ იმეტებდა, ამიტომ მომავალ ჩემპიონს დამოუკიდებლად მოუხდა ავტოსამყაროში გზის გაკვლევა.

ჰენდონის ტექნიკური კოლეჯის დამთავრების შემდეგ გრემმა მუშაობა დაიწყო „სმიტ ენდ სონის" ცნობილ ფირმაში. მალე ხელმძღვანელობამ იგი ბირმინგემის ფაბრიკაში გადაიყვანა და ჰილსაც მოტოციკლის ყიდვა მოუხდა სამსახურში სიარულისთვის. მაგრამ თითქმის პირველივე ავარიას თეძოს მოტეხილობა მოჰყვა, რის შედეგადაც ერთი ფეხი ოდნავ დაუმოკლდა. მოტოკარიერას წერტილი დაესვა.

შემდეგი გატაცება იყო ნავები. გრემი ლონდონის სამეფო სანიჩბოსნო კლუბში ვარჯიშობდა და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია. 1950 წელს რვაადგილიანი ნავის შემადგენლობაში მოიგო ჰენლეის რეგატის „გამოწვევის თასი". სხვათა შორის, ნიჩბოსნთა კლუბში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, ბეტი.

ჰილი ავტომობილის საჭეს პირველად ძალიან გვიან, 24 წლისა [illegible] 1953 წელს „ბრენდს ჰეჩის" [illegible] სარბოლო ავტოდრომის [illegible] სკოლის სალაროში ხუთი შილინგი გადაიხადა და ძველი „კუპერ-კლაიმაქსით" ოთხი მოკლე წრე შემოიარა. ამას მოჰყვა სწავლა სარბოლო კურსებზე, რის შემდეგაც სკოლაში მექანიკოსად დარჩენა შესთავაზეს, მერე ინსტრუქტორიც გახდა, ხოლო როცა „ფორმულა ჯუნიორის" ეროვნული პირველობის ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავა, სკოლის ინსტრუქტორობა [illegible].

ეს ის პერიოდი იყო, როცა გენიალურმა კონსტრუქტორმა კოლინ ჩეპმენმა თავისი საფორმულო „ლოტუსი" შექმნა და ჰილი მექანიკოსად დაიწყო დღეში ერთი გირვანქა სტერლინგის ანაზღაურებით. მალე ჯამაგირი კვირაში ცხრა გირვანქამდე გაიზარდა.

როგორც იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეფორმულე, ინგლისელი სტირლინგ მოსი ამბობდა, გრემი იყო უნიჭიერესი მექანიკოსი: „მისი ხელები მესაათის და ქირურგ-ოფთალმოლოგისაც შემშურდებოდა, ხოლო სმენა მუსიკალური ინსტრუმენტების აწყობის სმენას შეიძლება შევადაროთ."

1956 წელს ტრასაზე გავიდა ჰილის მიერ დაპროექტებულ-დამზადებული სპორტული „ლოტუს 11". ჩეპმენმა მას შეჯიბრებებში გამოსვლის ნება დართო და გრემმაც მეგობარს იმედი არ გაუცრუა, — მოიგო „ფორმულა ჯუნიორში" ჟურნალ „ავტოსპორტის" ჩემპიონატი, „საშობაო თასი", კიდევ რამდენიმე რბოლა და ფორმულა 1-ის დროც მოვიდა.

დებიუტი შედგა 1958 წლის 18 მაისს მონაკოში. გრემ ჰილი უკვე მოწიფულ ასაკში იყო, 29 წლის. ვერც ამ რბოლაში გამოიჩინა თავი: შუა გზაზე ძრავამ უმტყუნა და ვერც საწყის ორ სეზონში. საუკეთესო შედეგი იყო მეექვსე ადგილი იტალიის დიდი პრიზის გათამაშებაში. მომდევნო ორი წელი უკვე BRM-ში (ბრიტანული სარბოლო მოტორები) გაატარა და ორჯერვე საერთო ჩათვლაში მე-15 ადგილზე დარჩა.

ამ უსახურმა შედეგებმა გრემს უსიამოვნო სახელი დაუმკვიდრა — „საუკეთესო მრბოლი მექანიკოსებს შორის და საუკეთესო მექანიკოსი მრბოლებს შორის." და მაინც, იგი გუნდში დატოვეს. თუმც საჯინიბოს მეპატრონემ, სერ ალფრედ ოუენმა, მძღოლებსაც და ტექპერსონალსაც ულტიმატუმი წაუყენა, თუ ჩემპიონობას ვერ მოიპოვებდნენ, BRM არსებობას შეწყვეტდა.

ჰილმა ბოსს იმედი გაუმართლა — BRM P57, რომელსაც ახალი, „კლიმას" რვაცილინდრიანი მძლავრი ძრავა ედგა, სწორედ რომ დაფრინავდა ტრასებზე. ბრიტანელმა საწყისი შვიდი რბოლიდან სამი მოიგო, კიდევ ორჯერ ფინიშთან მეორე მივიდა და ცხრა ქულით უსწრებდა შოტლანდიელ ჯიმ კლარკს. მაგრამ ბოლოსწინა ეტაპზე კლარკმა იმარჯვა და სატურნიროვითარებაც დაიძაბა.

ჩემპიონი დასკვნით, სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზის გათამაშებას უნდა გაერკვია. ისტ-ლონდონში რბოლა უჩვეულოდ გვიან, 29 დეკემბერს ჩატარდა. კვალიფიკაცია კლარკმა მოიგო და რბოლაშიც დიდხანს ინარჩუნებდა ლიდერობას. ცოტაც და გვირგვინი მას დარჩებოდა, მაგრამ ფინიშამდე 80 კილომეტრით ადრე „ლოტუსის" ძრავას ზეთი გაედინა და ბრძოლას გამოეთიშა.

რბოლაც და მთელი ჩემპიონატიც გრემ ჰილმა მოიგო და გახდა პირველი ბრიტანელი, ვინც ტიტული ბრიტანული მანქანით მოიპოვა.

სამი წლის შემდეგ ჰილი ჩეპმენთან დაბრუნდა და მეგობრის „ლოტუს-კოსუორტით" 1968 წელს სამი მოგებითა და სამი მეორე ადგილით უზარმაზარი უპირატესობით მოიგო მეორედ ჩემპიონატი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი სამგზის ტრიუმფატორიც უნდა ყოფილიყო. 1984 წლის სეზონი ჰილმა არანაკლებ შთამბეჭდავად ჩაატარა, დასკვნითი ეტაპის წინ ხუთი ქულით წინ იყო თანამემამულე ჯონ სარტისზე და პირველობა თითქმის „ჯიბეში ედო", მაგრამ სარტისის თანაფერარელი ლორენცო ბანდინი ფინიშამდე ორი წრით ადრე განზრახ დაეჯახა ჰილს და BRM ტრასიდან გადააგდო. ჩემპიონი სარტისი გახდა. ჯენტლმენ გრემს ასეთ ვითარებაში ჩვეული „საქმის გარჩევა" არ მოუწყია. მხოლოდ იტალიელს სამშობლოდ გაუგზავნა „ავტომობილის მართვის პრაქტიკული კურსი დამწყები მრბოლებისთვის".



1962. გრემ ჰილის საჩემპიონო „BRM-კლიმა"



ჰილების ოჯახი: სამანტა, ბეტი, გრემი და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი დეიმონი

1966 წელს ჰილმა ინდიანაპოლისში „ლოტუს T90"-ით მოიგო ამერიკელთათვის საკულტო 500-მილიანი მარათონი და ოკეანისგაღმა გამომუშავებული 150 ათასი დოლარით პატარა ორძრავიანი თვითმფრინავი „პაიპერ აცტეკი" შეიძინა. მალე საპილოტო ლიცენზიაც მიიღო და ლამის ყველა ეტაპზე საკუთარი ავიატრანსპორტით ჩადიოდა.

გრემს „მონაკოს პრინცს" ეძახდნენ. მან ხუთჯერ მოიგო ჯუჯა სამთავროს დიდი პრიზი, რაც თითქმის მეოთხედი საუკუნე სარეკორდო მიღწევად რჩებოდა, ვიდრე 1993 წელს „ჯადოქარი" აირტონ სენა მონტე კარლოს ქუჩებში მეექვსედ გაიმარჯვებდა.

1969 წელს ჰილს შეემთხვა საშინელი ავარია, რამაც კინაღამ შეიწირა მისი სიცოცხლე. უოტკინსგლენში აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებისას „ლოტუსი" გზიდან გადაუცურდა და ბოლიდიდან გადმოსვლა მოუხდა ტრასაზე დასაბრუნებლად. მანქანაში ჩამჯდარს უსაფრთხოების ღვედების შებნევა დაავიწყდა. რამდენიმე წრის შემდეგ მეორედ დაკარგა კონტროლი, „ლოტუსი" ამოყირავდა და „დაუბმელი" მრბოლი ბოლიდიდან გადმოვარდა. შედეგად ფეხების მრავლობითი მოტეხილობა მიიღო და სამი თვე გაატარა საავადმყოფოში.

ჰილი ტრასებზე კი დაბრუნდა, მაგრამ უკვე ისეთი აღარ იყო, როგორც წინათ.

1972 წელს გრემმა ბობოლა სპონსორი გამონახა მეთამბაქოე გიგანტ „ემბასის" სახით და საკუთარი საფორმულო გუნდი შექმნა — „ემბასი რეისინგ გრემ ჰილი". ბოლიდი ამერიკულ ფირმა „შედოუ"-სგან იყიდა. საჭეს, ცხადია, თავად უჯდა.

„შედოუ" სუსტძალოვანი და არასაიმედო იყო და მომდევნო სეზონში „ლოლა"-თი შეცვალა. ეს უკეთესი ვარიანტი გამოდგა და „ემბასი ჰილ GH 1"-მა ქულების მოპოვება დაიწყო. ერთ-ერთ ბოლიდს მართავდა 23 წლის ინგლისელი ამომავალი ვარსკვლავი ტონი ბრაისი.

ჰილი „სამეფო რბოლებს" 1975 წლის ივლისში „სილვერსტოუნზე" დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას გამოეთხოვა.

ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მისი გუნდი საფრანგეთში, ლე კასტელეს ავტოდრომზე ტესტირებას გადიოდა. 29 ნოემბერს ბრაისი, მისი კბილა კონსტრუქტორი ენდი სმოლმენი და სამი მექანიკოსი გრემის ექვსადგილიანი თვითმფრინავით ინგლისში ბრუნდებოდნენ. იმ საღამოს ჰილი ეროვნულ სპორტკლუბში საზეიმოდ უნდა გაეცილებინათ პენსიაზე.

ლონდონის აეროპორტ „ელსტრის" სიახლოვეს ძლიერი ქარი ამოვარდა და ნისლიც ჩამოწვა. გრემი გამოცდილი ავიატორი კი იყო, მაგრამ ეტყობა, უმძიმეს პირობებში ვერ გათვალა, „პაიპერ აცტეკი" ხეებს წამოედო, ჩამოვარდა და აფეთქდა. მეორე დილით კატასტროფის ადგილზე ექვსი დამწვარი ცხედარი ნახეს.

— თუ ყველაზე ცუდი მოხდება, ეს ნიშნავს, რომ თქვენ უბრალოდ, ბედნიერი ცხოვრებისთვის ანგარიშის გადახდა მოგთხოვეს და ეს უნდა გაკეთდეს ყოველგვარი სინანულის გარეშე — უყვარდა თქმა ნორმან გრემ ჰილს.

**გია ახალაძე**



# შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა



როზალინ სუეილ პოუპი

**უელსელმა** როზალინ სუეილ პოუპმა, ამ ოცდაერთი თვის წინათ, თავის დაბადების დღეს, ოქტომბერში საკუთარი სახლიდან ზურგჩანთა წამოიკიდა და გზას გაუდგა. მას მერე უკან მოიტოვა 13 ათასი კილომეტრი და ახლა სადღაც რუსეთის უკიდეგანო სივრცეში მარტოდმარტო მირბის. მას განუზრახავს დედამიწას შემოურბინოს, მაგრამ 58 წლის ქალბატონი ამ ერთი თვის წინათ, როცა იაკუტიაში იყო, დაფიქრდა გზის გაგრძელების ვარიანტზე. ფიქრის დრო კი ნამდვილად ჰქონდა, რადგან ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში პირველად დაისვენა და ლოგინიც პირველად ეღირსა.

როზის არც დამხმარე ჯგუფი უმაგრებს ზურგს და პრაქტიკულად არც ფული აქვს. ჩვეულებრივ იგი ღამეს ერთ მოციცქნულ კარავში სადმე გზის პირას ათენებს. აქამდე მისთვის ყველაზე რთული გამოცდა ორი მკაცრი ზამთარი იყო. ორი თვის წინათ მან აღმოსავლეთ ციმბირში, მიტოვებული გულაგის ბანაკების ახლოს გაირბინა. მიუხედავად ამისა, იგი ისეთივე ხალისიანი და ენთუზიაზმით აღსავსეა, როგორიც იმ დღეს იყო, როცა შინიდან გამოვიდა.

„მთელ ამ გზაზე, თუ უკაცრიელ ადგილებში არა ვარ, შოფრები სიგნალით და ხელის ქნევით მესალმებიან. სატვირთოების მძღოლები მანქანებს მიჩერებენ, ჩაით მიმასპინძლდებიან, მოხუცები კი შინისკენ მექაჩებიან, რათა სული მოვითქვა და ტუალეტით ვისარგებლო" — ამბობს როზი პოუპი.

თავად როზი ბებიაა და უნდა, რომ უპატრონო ბავშვებს დაეხმაროს. როზი ბავშვობაში უმშობლებოდ დარჩა და მას ბებია და ბაბუა ზრდიდნენ. ამიტომაც, როზის მარათონი საქველმოქმედოა და შეგროვებული ფულით ობოლ ბავშვებს ეხმარება, ხოლო დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა დიდი ხნის ოცნება ყოფილა. ამიტომაც მას არც სიცხე აშინებს, არც სიცივე და არც უსასრულო გზა. ახლა როზიმ იაკუტია უკან მოიტოვა, სადაც ყოველდღიურად სიცხე მატულობდა და მატულობდა, მაგრამ სულ რამდენიმე თვის წინათ იგი 45-გრადუსიან ყინვაში მირბოდა.

„საშინელი ყინვები იყო და მეჩვენებოდა, რომ ზამთარს ბოლო აღარ ექნებოდა — ამბობს მორბენალი — ყოველ წამს ყინვას ვებრძოდი, ჩემი კარვის საყრდენები ყინვისგან ტყდებოდა, გასქურასაც ძალა აღარ ჰქონდა. იმ სიცივეში რაიმეს გარეცხვა ან ხელ-პირის დაბანვა შეუძლებელი იყო. ახლა აღარც კი მჯერა, რომ ეს ყოველივე გადავიტანე."

შარშან ნოემბერში როზის ექიმებმა გული გაუხეთქეს, ფილტვების ორმხრივი ანთება გაქვსო. ჰოდა, როზიმაც გაიხადა სარბენი ფეხსაცმელი და ტაიმ აუტი აიღო. ოღონდ ექიმებმა როზის ავადმყოფობის შესახებ შემთხვევით მხოლოდ საავადმყოფოში შეიტყვეს, როცა ამ ქალბატონს ავტობუსი დაეჯახა და გამოსაკვლევად რენტგენზე გააშუქეს.

ზოგი ჭირი მარგებელიაო და როზისაც სწორედ ასე დაემართა. ის ავტობუსი რომ არ დაჯახებოდა, ვინ იცის, რით დასრულდებოდა ყოველივე. თავადაც სიცილით ამბობს, ძალიან გამიმართლა, რომ ავტობუსი დამეჯახაო.

ასე იყო თუ ისე, ამ ქალბატონმა იმ ავტობუსის შოფერი ძალიან მოხიბლა. ეგ კი არა, შოფერმა როუზის მასთან შინ დარჩენა შესთავაზა და ისიც გამოჯანმრთელებამდე მართლაც მასთან დარჩა. მერე შოფერმა როზი იმ ადგილზე მიიყვანა, სადაც ავტობუსი დააჯახა, რათა მორბენალს ერთი სანტიმეტრითაც არ მოეპარა თავისი გასარბენი გზიდან. და მანაც მარტოდმარტომ გაუტია იქით, საიდანაც მზე ამოდიოდა.

როზისგან დროდადრო ინტერვიუსაც იღებენ, როცა იგი დასახლებულ ადგილებშია. მან ჟურნალისტებს უამბო, თუ ერთ ღამეს ალყა როგორ შემოარტყა მგლების ხროვამ.

„ისინი ირგვლივ დაძრწოდნენ, ყმუოდნენ და კარავს ყნოსავდნენ, მაგრამ, ეტყობა, მშიერები არ იყვნენ და გამეცალნენ" — ახლა ხუმრობით იხსენებს იმ თავგადასავალს, მაშინ კი...

ერთხელაც, გამთენიისას აღმოაჩინა, რომ იქვე კარავთან დათვს თავისი თათების ვეება კვალი დაეტოვა.

მაგრამ როზის ახლა არც დათვები აშინებს და არც მგლების ხროვა. როგორც ზემოთ ვთქვით, მას თავისი მარშრუტი უფრო აფიქრებს. დაეჭვებულა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩუკოტკის გავლით ბერინგის სრუტემდე რა მიაღწევსო. მით უმეტეს, რომ რუსეთის ტურისტული გიდების უმრავლესობა ჩუკოტკას არც კი ახსენებს, რადგან ეს რეგიონი შეზღუდულია და იქ მოსახვედრად საგანგებო საშვია საჭირო. რაც მთავარია, იქაურობა მთელ დედამიწაზე ყველაზე პირქუში და უკაცრიელი ადგილია.

„ბევრი მეუბნებოდა, შენ ისედაც ბევრი შეუძლებელი შეძელი და გეყოფა ამ ღვთისაგან მიტოვებული მხარეში სირბილიო" — ამბობს როზი, რომელიც ჯერ დარწმუნებული არაა, რომ ჩუკოტკა მართლაც ისეთი ვეებაა, როგორსაც მას ეუბნებიან, მაგრამ იქვე დასძენს, ჩემს გეგმებში აქ სიკვდილი სულაც არ შედისო.

ასე რომ, ახლა იგი თავისი მარშრუტის ალტერნატიულ ვარიანტზე ფიქრობს — მაგადანის გავლით.

იქიდან ალბათ ალიასკამდე გადავფრინდები და ბერინგის სრუტიდან უელსის მიმართულებით გავიქცევიო. მაგრამ არც ჩუკოტკისკენ რბენას გამორიცხავს. თუმცა, არც მაგადანამდე 1700 კილომეტრია ია-ვარდებით მოფენილი. პრაქტიკულად, იქ გზა არ არსებობს, მდინარეები კი თავზე საყრელადაა და მათი გადალახვა კაი გვარიანი ხათაბალა იქნება.

„რუსი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მაგადანისკენ მდინარე ალდანის გადალახვა შეუძლებელია, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა, ეტყობა, ამას ახერხებს. ჰოდა, იქნებ მეც რაიმეს დავეყრდნო და ისე გადავახტე მდინარეს. ეს ძალიან მაგარი რამ იქნება" — ოხუნჯობს როზი და ეტყობა, ალდანზე და მთელ მაგადანზე გაფენილი პერსპექტივა მას ამხნევებს და იზიდავს.

**ავთანდილ ტყვიბელი**

# პორნოვარსკვლავი და ავტორბოლა

*ამერიკელ მომხიბლავ მსა[illegible]ჰსა და მოდელს ბრუკ ბურკს ძალიან უყვარს ვიდეოთამაშობანი და სპორტი. ბოლოს ეს ქალბატონი ძალზე გაიტაცა კომპიუტერულმა ავტორბოლამ* **Need for Speed: Underground 2**-*მა*



**ბრუკი** კომპიუტერთან საათობით ზის და სარბოლო ავტომობილების მართვას ეუფლება, თან სულ უფრო მეტად ხვეწს სარბოლო ტრასის დაფარვის ხელოვნებას. ბრუკის გატაცება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სპორტულ ჟურნალისტებს და ამბობენ, ეს მშვენიერი ქალბატონი „ფორმულა 1"-ს რომ ხელმძღვანელობდეს, ამერიკის გრან პრის გათამაშებისას პრობლემები არ იქნებოდაო.

ოღონდაც, ბრუკ ბურკის ამგვარი გატაცება შემთხვევითი სრულებითაც არაა. საქმე ისაა, რომ ELECTRONIC ARTS-მა ბურკთან კონტრაქტი გააფორმა. მოდელი, მსახიობი, მომღერალი და ყოფილი პორნოვარსკვლავი ბრუკ ბურკი წარმოგვიდგება რეჩერის სახელით ცნობილი შეჯიბრების ორგანიზატორად, ხოლო შეთავსებით იგი ართობს მოთამაშეებს და ყოველი რბოლის წინ მათგან სანაძლეოდ დადებულ თანხას აგროვებს.

თავად ბრუკმა თავის საქმიანობას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„მე რეალურ ცხოვრებაში ძალიან ვარ დაკავშირებული საავტომობილო რბოლასთან. ასე რომ, საკომპიუტერო თამაშებში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია."

ბრუკ ბურკი, რომელმაც თავისი კარიერა პორნომოდელობით დაიწყო, სახელი უფრო მეტად გაითქვა ტელეშოუ WILD-ში მონაწილეობით, რომელიც 120-ზე მეტი ქვეყნის ეკრანებზე გადიოდა. ამ შოუს პროგრამით იგი [illegible] ერთად, მოგზაურობდა [illegible] ცივილიზაციისგან გადაკარგულ ადგილებში და საშიშროებას [illegible] რებითაც დაფრინავდა.

ახლა ბრუკი აგრძელებს თავის საკუთარ, საკმაოდ წარმატებულ კარიერას შოუბიზნესში, თავისუფალ დროს კი მისდევს თავის გატაცებას კომპიუტერში და ავტორბოლებითაც ყვინთავს.

კრივი

# ჯანიანი ნატაშას სუსტი კაცები



**მაგდებურგის** მოქალაქენი ემზადებიან ღირსსახსოვარი მოვლენისთვის — ქალთა პროფესიული კრივის სამასპინძლოდ. მის ცენტრალურ ნომერად წარმოგვიდგება 29 წლის ქალბატონი, რუსი ნატალია რაგოზინა, რომელიც 183 სანტიმეტრი სიმაღლისაა და 80 კილოგრამს იწონის.

უნდა ითქვას, რომ მაგდებურგში რაგოზინას მეტოქეს კარგი არაფერი ელის. ნატაშა, როგორც რაგოზინას გერმანელები მოფერებით მოიხსენიებენ, კიკბოქსინგში ვარჯიშობდა და ბოლო ოთხი ორთაბრძოლა ნოკაუტით მოიგო. ნატაშას გამარჯვების შემთხვევაში, რაც არავის ეეჭვება, რუსი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მისაპოვებლად კიდევ ერთ ამერიკელთან, ჯეკი ფრეზერთან ბრძოლის უფლებას მიიღებს. ეს ორთაბრძოლაც გერმანიაშია დაგეგმილი, სადაც რაგოზინას თაყვანისმცემელთაგან მოსვენება არა აქვს.

პროფესიულ კრივში გადასვლამდე რაგოზინა ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი, ხოლო 2003 წელს მონაწილეობდა „ეპოქალურ" მოვლენაში, რომელიც სანკტ პეტერბურგში გაიმართა რუსეთისა და აშშ-ის გუნდების სამატჩო შეხვედრისას. რუსმა ქალებმა, რომლებიც მსოფლიოს რანგით ტაბელში მნიშვნელოვნად სჯობნიან თავიანთ კოლეგა-მამაკაცებს, ამერიკელები გამანადგურებელი ანგარიშით 8:3 დაამარცხეს, ხოლო ნატალიამ უკვე მეორე რაუნდში [illegible] ისე ძლიერად დასცხო თირკმელში, რომ მან ბრძოლა შეწყვიტა.

# ეს გოგო კარგად თამაშობს

ეს გოგოები გახლავან ამერიკელი სინქრონისტები, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მსოფლიოს ჩემპიონატი ხვალ კანადაში, კერძოდ, მონრეალში, „პარკ ჟან-დრაპოზე" იწყება და 31 ივლისამდე გასტანს, ფოტოები კი ისეთია, რომ ვერ იტყვი, ეს იმაზე ან ის ამაზე ლამაზიაო. თუ შეფასების რაიმე სხვა კრიტერიუმი გაქვთ...





AFP მონრეალიდან

# ირბინეთ სან ფრანცისკოში

ამ ფოტოზე ქალი რომ მიძუნძულებს, ვინ არის, არ ვიცით და არც გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს ქალაქი, სადაც ეს სურათი გადაიღეს — სან ფრანცისკო. საქმე ის გახლავთ, რომ სან ფრანცისკო, მორბენალთა მსოფლიო ჟურნალის გამოკვლევით, ამ საქმისთვის მსოფლიოში საუკეთესო ქალაქი ყოფილა. აქ არის მორბენალთა ბევრი კლუბი, ტარდება ბევრი შეჯიბრება, არის მწვანე-მწვანე პარკები და თან, სირბილისას, როგორც გალაკტიონი იტყოდა, დაგიქროლებს სიო კალიფორნიის...



AFP სან ფრანცისკოდან



AFP სენტ ენდრიუსიდან

# ტაიგერთან ტაიგერით

რამდენიმე დღეა, გწერთ, რომ შოტლანდიაში, სენტ ენდრიუსში, გოლფის 134-ე ღია ტურნირია და მთელი მსოფლიოს საუკეთესო ყვანჯისმქნეველები იქ არიან. იქაა მეყვანჯეთა შორის უმეყვანჯესი ტაიგერ ვუდსიც, რომლის პატარა ქომაგიც თავისი სათამაშო ტაიგერით მისულა კერძის ვარჯიშზე. შევახსენებთ, რომ მეგოლფეებს ისეთი ჰ ონორარები აქვთ, ფეხბურთელებს არც დაესიზმრებათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი,
გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი,
ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე ლევან კილაურიძე
ოთარ მაღლაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი,
მაგლა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე
თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge